ანრაზ ბაგრატიონი

რუსთველის ვინაობა და ჩრესკა გელათში

მწიგნობარი
1989

დაიბეჭდა ავტორის, ამირან ივანეს ძე ცამციშვილის ხარჯით

წიგნის იდეურ-მხატვრული და მეცნიერული შინაარსზე
პასუხისმგებელია ავტორი

რეცენზენტები: ნელი ჩაჭიძე-ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
ომარ ეშბაძე-ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე
ლევარდი ტუხაშვილი-ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ა ნ ო ტ ა ც ი ა

1950-იან წლებში გელათის მონასტრის ცენტრალური ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მომცრო ეკუდერის შემშვარტული კედლების გასუფთავების შედეგად გამოჩნდა რამდენიმე პირის გამოსახულება. რ. მეფისაშვილის მიერ გამოაქვეყნებული მოსაზრებით, მათ შორის არის მეფე დავით ნარინის სამი პორტრეტი: "პირველზე ... ქრისტე ორივე ხელით აკურთხებს მეფე-დედოფალს... მეორე პორტრეტზე ... ღვთისმშობლის წინამდგომარე მეფეა გამოსახული... მესამე პორტრეტი ... გამოსახავს დავითს მერის სამოსში". ნაშრომში ამ სერიოზული პრობლემატური საკითხის განხილვას ეხება. ხანგრძლივი კვლევა-ძიებით, ისტორიული ფაქტების მოძარჯვებით, რაც მოცავრია, ბერის ფრესკის წარწერის ტექნიკური დამუშავებითა და ამოკითხვით, რ. მეფისაშვილის ვარაუდი გაითვლება. დავით ნარინის მეფობის სრული ისტორია და პორტრეტის დეტალური გამოკვლევა შესაძლებელს ხდის, ბერის ფრესკა მოთა რუსთველის გამოსახულებად მივიჩნიოთ და გენიალური მგოსნის პორტრეტად ვალიაროთ.

იღუსტრირებული გამოცემა გამიზნულია როგორც ისტორიკოსების, ლიტერატორებისა და ხელოვნებათმცოდნეების, ისე ქართული კულტურითა და რუსთველოლოგიით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოების-

მოსაძებნია თუ დავიწყებული?*

XI-XIII საუკუნეების ქართული ეროვნული გენიის გრანდიოზული მატერიალური და სულიერი კულტურა გვიანდელია. მისი შესწავლა კარგა ხანია დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გასარკვევია. ამგვარ საკითხთა რიგს, ჩვენი აზრით, მიეკუთვნება ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლის – გელათის მონასტრის–კედლის მოზაიკური მხატვრობასთან დაკავშირებული მეტად საინტერესო პრობლემა.

გელათის ტაძრის მხატვრობა კარგა ხანია, რაც მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. 1962 წელს გამომცემლობა "ხელოვნებამ" გამოაქვეყნა სანიმუშო ალბომი, რომელშიც თავმოყრილია როგორც გელათის მატერიალურ კულტურასთან დაკავშირებული მრავალმხრივ საყურადღებო მასალები, ისე ისტორიულ თუ სამეცნიერო პირთა ფრესკები და, ცხადია, კედლის მხატვრობის ნიმუშებიც. ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრშია იმ ისტორიულ პირთა მოზაიკური გამოსახულება, რომლის პერსონიფიკაცია საძავოა.

ალბომში 62 და 63 ნომრით დაბეჭდილია ორი პორტრეტი, რომელთაგან პირველი მიჩნეულია მეფე დავით ნარინის გამოსახულებად (სრულიად სამართლიანად), მეორე კი – იმავე პირად, ოღონდ თიკრის ბერად აღკვეცილ დავით ნარინად. ამგვარ განსაზღვრას კარგა ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1951 წელს ეს აზრი გამოთქვა გელათის არქიტექტურული ანსამბლის მკვლევარმა რუსუდან მეფისაშვილმა და პორტრეტების მიკვლევა ახალ ალმოჩენად მიიჩნია. იგი წერდა:

"მიმდინარე წლის ოქტომბერში, ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთან, ვ.ცინცაძესთან ერთად გელათში მუშაობის დროს მთავარი ტაძრის სამხრეთით მიშენებულ ეკვდერში მეფე დავითის /რუსუდანის შვილის/ – დავით ნარინად წოდებულის /მეფობდა 1247–1293 წლებში/ – ორი გამოსახულება აღმოვაჩინეთ. ერთ პორტრეტზე დავით მეფედ არის გამოსახული,

---

* იხ. გამ. "ქუთაისი", 2.VIII.82.

მეჯვარა ტანისამოსში, ხოლო მეორეზე – ბერად შემდგარი, შავ ტანისა-მოსში, შავი კუდით. დავით ნარინის გამოსახულება ჩვენ აქამდის არ-სად გვეგულებოდა და მით უფრო ლირსშესანიშნავია, რომ გელათის მონა-სტერში ორი პორტრეტი ერთად აღმოჩნდა"[1].

ამ საინტერესო მოკლე უწყებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გავიდა ხანი და დღეს სულ სხვა სურათი გვეშლება თვალწინ. ჯერ ერთი, რაც XIX საუკუნეში და ჩვენი დროის 30-იან წლებში ფოტოგრაფირებულია, 1951 წლისათვის აღმოჩენა არაა, რადგან: საქართველოს ხელოვნების მუ-ზეუმში დაცულია შაღვა ამირანაშვილის მიერ 1932 წელს გადაღებული და-ვით ნარინის ფრესკის ნეგატივი /N-242/ და მისი ანალოგიური სხვა ნეგატივები; და მეორეც ჯერ პრეცედენტი არ არსებობს იმისა, რომ ერ-თი და იგივე პირი, ერთსა და იმავე ადგილზე, ერთმანეთის გვერდით, ერთ და იმავე დროს სამჯერ ან ორჯერ იყოს გამოსახული. დავით არქიტექ-ტურათმცოდნეობის დოქტორი ი. მეფისაშვილი ხსენებულ სტატიაში აღნიშნავს:

"დავით ნარინის ბერად აღკვეცის ფაქტი სრულიად ახალია ქართული ისტორიისათვის. არსად, ძველ ლიტერატურულ წყაროებში იგი აღნიშნული არ იყო და ისტორიკოსები ფიქრობდნენ, რომ დავითს თავის სიკვდილამდე სამეფო ტახტი არ მიუტოვებია"[2].

მართალს ბრძანებს მკვლევარი. აღნიშნული მოსაზრება ისტორიკო-სებს სადღისოდაც არ შეუცვლიათ: დიმიტრი თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ანუ 1289 წელს, მონღოლთაგან /არღუნის მიერ/ ქართლ-კახეთში გამეფებული დავით ნარინის ძე ვახტანგი სამი წლის შემდეგ, 1292 წელს, რაღაც სენით მოულოდნელად და უდროოდ გარდაიცვალა, მამა-მისი დავით ნარინი კი ისევ მეფობდა ლიხთიქითა საქართველოში და ტახტზე იჯდა ქუთაისში. ყამთაარქმწერელი მკაფიოდ და ზუსტად გვაუწ-ყებს: "ვითარცა სცნა დავით, დიმიტრი მეფის ძეთან, სიკუდილი ვახტან-გისი, განწყრა... იგლოვა... ჭირად პატივ-სცა, და წარგზავნა გე-

---

1 "ლიტერატურა და ხელოვნება", 23.XII.51

2 იქვე.

ღაწს სამარხოსა მეფეთასა. ვითარცა ესმა მამასა, მისსა, მ ე ფ ე ს ა დ ა ვ ი დ ს /და არა "ბერსა" ა.ც./ სიკუდილი სასურველისა და ყოველთა მიერ შეყუარებული ძისა მისისა ვახტანგისი, უზომოთა ტკივილითა და მწუხარებითა მოიცვეს... და შემდგომად მცირეთა წელთა მანცა შეისუენა, პატიოსნითა სიბერითა აღსავსემან და დაუტევა სამნი ძენი... ხოლო მიიღო მეფობა კონსტანტინე, პირმშოებისა ძალითა იმერეთისა"[3].

მაშასადამე, დავით ნარინი იმიერში ისევ მეფობდა 1289-1293 წლებში, როცა მისი ვაჟი ვახტანგი ქარდ-კახეთში მბრძანებლობდა, ხოლო, როცა ვახტანგი 1292 წელს უცაბედად გარდაიცვალა ამიერში, ამ უბედურებას მეფე დავით ნარინზე ისე უმძიმესად უმოქმედია, რომ მეორე წელსვე მეფობაში გარდაცვლილა. მაშ, როდისღა აღკვეცილა? ა რ ა ს ო დ ე ს!

მეფე დავით ნარინი შემონაზვნებული რომ ყოფილიყო: "ვითარცა ესმა მამასა მისსა მ ე ფ ე ს ა დ ა ვ ი დ ს" კი არ დაწერდნენ, არამედ - "ბერსა დავითს"-ს, ანალოგიურად: "მაცა შეისუენა, პატიოსნითა სიბერითა აღსავსემან"-ის ნაცვლად იქნებოდა: "შეისუენა პატიოსნითა სიბერითა აღსავსე ჩ ი ო ს ა ნ მ ა ნ"-ო, ანდა მეისტორიე იტყოდა ისე, როგორც ეს დიმიტრი პირველის მიმართაა ნაფქვამი ღაწს გიორგისდროინდელ მემატიანის მიერ: "შეიმოსა ჩოხა და იკურთხა სქემითა"-ო.[4] მეფე დავით ნარინს ხშირად ახსენებს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძეც, მაგრამ როგორც ბერს არსად.

რ.მეფისაშვილმა კი სცადა აღმოეჩინა განსაზღვრა ის დროც, როცა მისი აზრით, დავით ნარინი ბერად უნდა შემდგარიყო. რ.მეფისაშვილი გამ. "ლიტერატურა და ხელოვნებაში" გამოქვეყნებულ დავის ინფორმაციას დასძენს:

"დავითის ბერად შედგომა, როგორც ისტორიული წყაროების შეჯერებით ირკვევა, მისი ცხოვრების უკანასკნელი წლის განმავლობაში შეიძ-

---

3 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 295

4 იქვე, ტ.I, გვ. 366, სქ.14.

ღება მომხდარიყო, მისი ვაჟის ვახტანგ მეორის გამეფებასა ე.ი. 1289 წელსა და დავითის სიკვდილს – ე.ი. 1293 წელს შუა"[5].

ამ აზრს რ.მეფისაშვილი იმეორებს და ავითარებს ამავე საკითხზე გამოქვეყნებულ დავის რუსუდანოვან ნაშრომშიც[6] და მეფის ფრესკის წარწერას აღადგენს ბერის ფრესკაზე არსებულ წარწერის მეობებით, რაც გაუმართლებელი ხერხია, რამეთუ ბერისა და მეფის იდენტურობა ჰიპოთეტურია და პოსტულატთან გვაქვს საქმე. დვაღსაჩინოებისათვის მოგვაქვს ეს ტექსტი:

"საბრძოლო კედელზე წარწერა იკითხება მთლიანად:

. შეფ~ე .გ~ ი ვ. ძე ჰა ს ა შ ჩ ვ. ს ე

ანუ "მეფე დავით, რუსუდანის ძე". დასავლეთის კედელზე წარწერა დაზიანებულია, მაგრამ მისი ტექსტი აღდგება პირველი წარწერით.

.. შეფე .. გ~ ი ვ. ძე .. ს ე ს ა შ ჩ ვ ს

ე.ი. "მეფე დავით, რუსუდანის ძე". ისტორიულ მოვლენათა შეჯერებას მივყევართ დასკვნამდე, რომ დავით ნარინი ბერად აღკვეცა, აღბათ 1289 და 1293 წლებს შორის"[7]. წარწერის ამ უკულმართული აღდგენის სისწორეს რ.მეფისაშვილი ამტკიცებს დავისივე 1951 წლის მაცდუნებელი საგაზეთო სტატიის* დამოწმებით და ამავე სტატიაზე დაყრდნობილი ბ. ღომინაძის მერმინდელ გზამკვლევ "გელათით" /გვ. 44/, მაგრამ იღუსტრირებული კონიუნქტურის დამტკიცებისა და უნიადაგო ვარაუდის გამყარებისას, ფაქტიურად, ხელმოცარული რჩება, რამეთუ დავით მეფისაშვილს მიწდომილი "მოწმე" 7 წლით ადრე გამოცემულ გელათის მეგზურში, "ლიტერატურა და ხელოვნების" მეფისაშვილისეულ უწყებას ეყრდნობა; ბ.ღომინაძე განიხილავს რა გელათის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვდერს, ხსენებულ გაზეთში დაბეჭდილ 1951 წლის სტატიას ნდობით ეკიდება და

---

5 "ლიტერატურა და ხელოვნება", 23.XII.51

6 [illegible] ..6, გვ.13.

7 იქვე, გვ. 6

* მითითებულია შეცდომით, უნდა იყოს "ლიტერატურა და ხელოვნება".

მასზე დაყრდნობით დავის ნაშრომში უყოყმანოდ იმეორებს "მკვლევართა დასკვნას". იგი ასე წერს:

"სამხრეთის მინაშენის მეორე ეკლესია /ალმოსავლეთით/ წმ. ა ნ დ რ ი ა პ ი რ ვ ე ლ წ ო დ ე ბ უ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა, დიდი ხნიდან გაუქმებული ყოფილა... ამ ეკვდერის წინა ისტორია წერილობითი წყაროების მოულოდნელობის გამო უცნობია. დასავლეთის მხარეზე ჩანს დაბიანებული ფრესკა წარწერით: "მეფეთა მეფე" და "დავით ძე რუსუდანისი" /დავით ნარინი, მეფობდა 1247-1293 წწ./, მკვლევართა დასკვნით აქ მოცემულია ნარინის ორი გამოსახულება: როგორც მეფისა /საბეჭდ სამოსელში/ და როგორც ბერისა /ბერის ტანსაცმელში/"[8].

როგორც ვხედავთ, მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ გელათის ტაძრის მხატვრობაში მეფე დავით ნარინი პირველ შემთხვევაში გამოსახულია ერის კაცად, ხოლო მეორე შემთხვევაში ბერად, სხვის ნაშრომშიც /სხვათა შორის ერთ-ერთ სადოქტორო დისერტაციაშიც/ ჭორსავით გადონა; /იხ.მაგ., ვ.ჩაკვეტაძე, გელათის აკადემია/.

რ.მეფისაშვილის სავარაუდო მოსაზრებებს აქარწყლებს მის მიერვე ხსენებული ე.წ. "შეჯერებული ისტორიული წყაროების" დაუმოწმებლობა და უსაბუთობა. ერთადერთი "ისტორიული წყარო" მისთვის არის მეფისაშვილს მინდობილი ბ.ღომინაძის მეგზური "გელათი", რომელიც 1959 წელს გამოვიდა. მაშასადამე, რ.მეფისაშვილი დავის შეხედულებებს აფუძნებს მხოლოდ და მხოლოდ საფრესკო წარწერების დავისეულ წაკითხვაზე, რაც ზემოხსენებულ პორტრეტულ გამოსახულებათა ატრიბუციას განსაზღვრავს. უსაბუთოდ და ვარაუდებით მსჯელობა, მერედა მოსაზრებანი და მაძიებელობა ერთ-ერთმანეთზე მინდობა თუ ჰიპოთეტური მტკიცებანი მეცნიერებას ვერ უგუებს და მკვლევარს არ შეეფერება.

---

8 ბ.ღომინაძე. გელათი /გზამკვლევი/. თბ., 1959, გვ. 44

უკანასკნელ ხანს გამოვებულ ალბომში - "გელათი"* - რ.მეფისაშვილმა კიდევ უფრო გააფართოვა გელათის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკუდერში შესრულებული პორტრეტული ფიგურების ატრიბუცია და დაწყვილებული დავით ნარინი სამად აქცია:

" ამ მოხატულობაში ყველაზე შესანიშნავია მისი დამკვეთის - მეფე დავით ნარინის სულიერ პორტრეტი. ორი მაღალი წარმოადგენს ტრადიციულ საზეიმო კომპოზიციას. პირველზე, რომელიც დასავლეთ კედელს ამშვენებს, ქრისტე ორივე ხელით აკურთხებს მეფე-დედოფალს. დედოფლის გამოსახულებისაგან მხოლოდ პატარა ფრაგმენტებილა შემორჩენილა, ხოლო მეფის პორტრეტი შედარებით კარგად შემონახულა. მის ზევით ამოკითხება - "მეფე დავით ძე ი[უსუდანისა] ". მეორე პორტრეტზე, რომელიც კამარაშია მოთავსებული, ღვთისმშობლის წინამდგომარე მეფეა გამოსახული. პორტრეტმა ბუნდოვანი სიღუტის სახით მოაღწია ჩვენამდე; იკითხება წარწერა: "მეფეთ მეფე".

მესამე პორტრეტი, რომელსაც სათავსის ცუდად განათებული კუთხე უფარავს, გამოსახავს დავით ბერის სამოსში — მუქ ანაფორასა და კუკულში. ის დგას ვედრების პოზაში, საკურთხევლისაკენ მიტრიალებული. წარწერა "მეფე დავით, ძე რუსუდანისა" გვარწმუნებს, რომ პორტრეტებზე ერთი და იგივე სახეა გამოსახული. ბიზანტიურ ხელოვნებაში, პალეოლოგიური ხანიდან, კარგადაა ცნობილი ერთი და იგივე სახის პორტრეტის შეწყვილების ანალოგიური შემთხვევები ერთ ძეგლში. თუ ორი პირველი პორტრეტი წარმოადგენს საპარადო რეტროსპექტულ გამოსახულებას, მესამე დაბეჭდილ "ნაგურიდან", მისი შემსრულებელი მხატვარი, როგორც ჩანს, უშუალოდ შეხვედრია მოხატულობის დიდებულ ბერ-დამკვეთს".[9]

---

* ულრმეს მადლობას იმსახურებენ ფოტოალბომის ავტორები ე.დერენთენკო და ე.გიგინეიშვილი საუცხოო და დიდი პროფესიონალური ხელოვნებით უზადოდ დამზადებული სლაიდებისთვის. მათ მიერ გადაღებული დავით ნარინის და ბერის პორტრეტები რომ არა, აღბათ, არ მოგვიხდებოდა ამ ისტორიულ პირთა სახეების ძებნა, გელათის ადრეულ მოხატვა, ფრესკების კვლევა-ძიება და ამ ნარკვევის დაწერაც.

9 ე.დერენთენკო, ე.გიგინეიშვილი. გელათი /ალბომი/. თბ., 1982, გვ. 13. ტექსტი ეკუთვნის რ.მეფისაშვილს.

1982 წელს გამოცემულ გელათის ტაძრის აღმოსავლეთ ფრაგმენტში რამდენიმე შეუსაბამობაა: მეფედედოფალში, მეცნიერები და ადგილობრივი თანამშრომლები გიორგი III-ს და ბუღუხანას გულისხმობენ ტრადიციულად; ქრისტე მათ კი არა, გვერდზე გამოსახულ გვირგვინოსან მეფე დავით ნარინს აკურთხებს. წარწერა მის მეფედ კი არა, ნახატის მხარგასწვრივაა და იკითხება "დმ ძე". "ღვთისმშობლის" /?/ წინაშე კამარაში მდგომ მუნდრუკან სიღუეტზე, რომელსაც აწერია "მეფეთ-მეფე", დავით ნარინი არაა და მისი ვინაობა გასარკვევი, დასადგენია. "ცისარტყელაზე" კი, რომელზედაც მაცნეებელი წერია "ნატურიდან" განსახიერებული, "მეფე დავით, ძე რუსუდანისა" არამც და არამც არ იკითხება, როგორც ქვემოთ დავიწმუნებით. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გელათის აღმოსავლეთის ტექსტის ავტორებს სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვდერი არც კი უნახავთ.

შუა საუკუნეების, კერძოდ, რუსთველის ეპოქის ისტორიულ-გენეალოგიურ საკითხებზე მუშაობისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია მემოხსენებულმა გელათური მხატვრობის პრობლემამაც. ცხადია, შეუძლებელი კრიტიკულად გადაგვემოწმებინა ლიტერატურაში უკვე ცნობილი არგუმენტაცია და საფუძვლად გვერჩინა ამ ნაშრომისთვის. ჩვენი ეჭვი, პირველ რიგში, აღძრა იმ ფაქტმა, რომ რ.მეფისაშვილი და სხვები არ განმარტავენ, თუ როგორ მოხდა მეფე დავით ნარინის, თითქოსდა ბერობისდროინდელ პორტრეტზე ვარაუდით აღდგენილი სახელის "დ ა ვ ი დ ი"-ს მიწერა: ასეთი რამ, ანუ ბერობაში საერო სახელის დატოვება ისტორიული პირისათვის, როგორც ცნობილია, უჩვეულოა. საამისოდ საფერი მაგალითი მრავალია. გავიხსენოთ თუნდაც დემეტრე პირველის ბიოგრაფია. ბერობის დროიდან იგი დანიელის სახელს ატარებდა. ამ დოგმატიკური წესის გათვალისწინებით როგორღა ავხსნათ მეფისაშვილის ცდა ერის კაცსა და ბერს მიაკუთვნოს ერთ და იგივე სახელი, მაშინ, როცა ერთი მეფეა, ბოლო მეორე, თითქოს იგივე პიროვნება ბერობისას?

ამასთანავე, ძალზედ უცნაურად გვეჩვენება იმის დაშვება, რომ ჟამთააღმწერელს რაიმე ცნობა ან მინიშნება არ შემოუნახა დავით ნარინის ბერობაზე მეფის მოღვაწეობის მიმწუხრს, ასეთი რამ რომ მოხდარიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟამთააღმწერელი, რომელიც ერთობ დეტალურად ცდილობს დავითი ეპოქის ისტორიული ფაქტების აღწუსხვას, ქარხულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია სასულიერო პირად და კლასიკური შუა საუკუნეების დანაშრეში ისტორიკოსებისგან განსხვავებით განსაკუთრებული გატაცებით აღწერს საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების დეტალებსაც კი. ეს მოხენტი უცილოდ გაუსაძღვრავს კიდეც მის სათისტორიო კონცეფციას. ამგვარ ვითარებაში ძალზედ გაუგებარი იქნებოდა იმის დაშვება, რომ ამ ავტორმა გვერდი აუარა მისთვის ისეთი სიმპათიური პერსონაჟის ბერად აღკვეცის ფაქტს, როგორიც დავით ნარინი იყო; ასეთ იშვიათ მოვლენას მეისტორიე უთუოდ დააფიქსირებდა.

ყურადღებას იმსახურებს ერთი ისეთი კარდინალური საკითხიც, როგორიცაა მეფისა და ბერის ფიზიონომია, რომელზეც, რა თქმა უნდა, არაფრის დიდებით არ შეიძლება თვალი მოვხუჭოთ. შევადაროთ ერთმანეთს გელათის ტაძრის პორტრეტული სახე მეფე დავით ნარინისა და ე.წ. ბერის დავით ნარინისა. ამჯერად ჩანს, რომ საქმე გვაქვს ფრესკით გამოსახულ ორ სხვადასხვა ისტორიულ პირთან; იქ, სადაც ერის კაცი დავით ნარინია წარმოჩენილი, ჩვენ შემოგვცქერის წიაღური თმა-წვერულვაშა, ცისფერთვალა მეფე; ბერად მიჩნეული პერსონაჟი კი შავგვრემანი მამაკაცია /ველირების პოზაში/, ოდნავ შეჭაღარავებული. ეს თვალსაჩინო გარემოება უკვე გამორიცხავს ამ ორი პიროვნების იდენტიფიკაციას. ამასთან დაკავშირებით თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ რ.მეფისაშვილის მტკიცებით მეფისა და ბერის პორტრეტების შემქმნელი ორივე პიროვნებას ნატურიდან ხატავდა, ეჭვი აღარ შეგვეპარება მეფისა და ბერის სხვადასხვაობაში ანუ იმაში, რომ ისინი სხვადასხვა პირები არიან.

ფრესკაზე გამოსახული ბერის რუსთველობას ირიბად ეკილოკავება ისიც, რომ იგი შავთმაუღვაშა და თვალწარმა ე.ი. შავგვრემანი ტიპი

ჩანს. ისტორია და რუსთველოლოგია პოეტს მანად - შავ კაცად მოიხსენიებს, ე.ი. შავგვრემან პირადად მიჩნეული, ხოლო რადგან მოგიერთი მკვლევარი, რომელიც ჰოეტ შოთას და კოხტასთავის შეხმეულების მონაწილე, აგრეთვე ქართველ მეფეთა ამაღის წევრ შოთა კუპარ/კუპრს, არარანთა / და არა "არარათა"/ ნიჭთა და მნეთა სამამაკაცოთა მქონებელ შოთას /"რომელსაც მანის ფერობისათვის კუპრობით უხმობდნენ"/* ერთმანეთთან აიგივებს, ვფიქრობთ მანის ფერობა ანუ შავგვრემნობა ჩვენი არგუმენტების სისწორის კიდევ ერთი დასტურია.

მეფე დავით ნარინი ბერობით არც ოქროჭედურ ნივთებსა და ხატებაზეა მოხსენებული, არც ალაპებში და არც გეპირსიტყვაობაზსა და ხალხურ ხმეულებებში. ერთი სიტყვით, მეფე დავით ნარინი რუსუდანის ძე ბერი არასდროს ყოფილა და მონასტერში არ შემონაგვნებულა, სასულიერო პირად არასოდეს არ აღკვეცილა.

დაბოლოს, გელათის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკუთხეში მოხატულ მეფისა და ბერის ფრესკებში დავით ნარინის გუნდების უარმყოფელი მტკიცე არგუმენტია, აგრეთვე, წარწერის ცალმხრივობა: რატომ მაინცა-დამაინც ბერია მოხსენებული რუსუდანის ძეობით და არა მეფე? და საერთოდ, განა ბერ-მონაზონს დასდებდნენ პატივს და დედისა თუ მამის სახელით მოიხსენიებდნენ? ყოველ შემთხვევაში, ფრესკიდან რახან ბერიკაცი გადმოგვცქერის, რ ა ტ ო მ უ წ ო დ ე ბ დ ნ ე ნ მ ა ს მ ე ფ ე ს? ს ა დ ა უ რ ი ლ ო გ ი კ ა ბ ე რ ა დ ა ღ კ ვ ე ც ი ნ დ ა კ ე დ ე ნ ზ ე გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ბ ე რ ს მ ე ფ ი ს წ ი წ უ ლ ი მ ი ა გ ო ნ ი ს ე ვ ? ბ ე რ ი ხ ო მ ბ ე რ ი ა დ ა მ ე ფ ე კ ი მ ე ფ ე ! როგორ ავხსნათ წარწერის ასეთი შეუსაბამობანი ?

---

* ვფიქრობთ, უფრო რაღაც მიზეზით შეცდომაა ქართველის ცხოვრების მატიანეში. დედანში უსათუოდ იქნებოდა "კუი-პარ"-ი ანუ "კუი-პაღი", რაც მჭედელს ნიშნავს, ხოლო "მანი" არის "მანათი//მანათი", /"მანათებელი"/ ანდა მარტოდაც "შავი" ა.ც.

ამრიგად, 1951 წლის საგამეთო ინფორმაციაში მეფისაშვილი უსაბუთოდ, არარსებული "ისტორიული შეკერებული წყაროებით", საკუთარი ვარაუდით და ბერის ფრესკაზე არსებული წარწერის შეუსაბამო წაკითხვით მაველრებელ პირს დავით-ნარინად მიიჩნევს; ამ შეცდომას ღომინაძე 1958-1959 წლების გელათის მეგზურებით შეუმოწმებლად წმინდა მონტად ასაღებს, ხოლო 1966 წელს რუსულ მონოგრაფიაში მეფისაშვილი იმოწმებს მეფისაშვილზევე დაყრდნობილ ღომინაძის მიერ ნასესხებ აზრს. ამასთანავე, მეფისაშვილზე დანდობილი ღომინაძე ბერის ვინაობის მაუწყებელ სიტყვას პალეოგრაფიული გამოკვლევის გარეშე გვთავაზობს "დავით ძე რუსუდანისი"-დ, რაც შეცდომაა. ამ შეუსაბამო აღდგენისას იგი უსაბუთოდ აცხადებს: "არავინ იცოდა", "უცნობია", "მკვლევარია დასკვნით" და სხვ. ასეთი გზით შეიძლება განა ბერის ვინაობის დადგენა? საბედნიეროდ, სამხრეთ ეკუდერის მიშენება დარიღდება XII-XIV საუკუნეებით, ხოლო მეფისა და ბერის ფრესკების მოხატვა XIII საუკუნით განისაზღვრება.

მეფისაშვილიდან მომდინარე და ღომინაძის მიერ აქცენტებული მცდარი მოსაზრების გასაბათილებლად ისიც კმარა, რომ მათთვის, და საერთოდ, უცნობია ნარინის ბერობის სახელი. დავით რომ ბერი ყოფილიყო, მოხუცის ფრესკას მიაწერდნენ მეფის ბერობის სახელს და არა "დავით"-ს, რადგან ასეთი მტკიცე წესი იყო; 1155 წელს ბერად აღკვეცილმა მეფე დემეტრემ სახელად დანიელი მიიღო და იგი ცნობილია დანიელ-ბერად; კახაბერი იწოდებოდა "კირილე"-დ, დიპარიტი - "ანტონ"-ად, ბარამი - "ვარლამ"-ად. ის პირები, რომლებიც ერობაში სახელად ატარებდნენ "დავით"-ს, ბერობაში ირქმევდნენ "დანიელ"-ს. სოფ.სოღომონისის ღვთის ეკლესიის წარწერაში წაკვეთია: "რატა ყოფილსა რაფიელს შ-ნ ღ-ნ", ხოლო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენებული ნარინი მხოლოდ სამეფო სახელით და რუსუდანის შვილობით ჩანს და არა ძეობით. ტიშენდორფისეულ წუსხაში იკითხება: "... წირვა და აღაპი საკუნო დ/ა-ვი/თ მეფისა რუსუდანის შვილისა შ-ნ ღ-ნ".[10]

---

10 ე.მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 72.

მაშასადამე, მეფე დავით ნარინი ოდესმე შემონაზონებული ყოფილა, სადმე დამოწმებული უნდა გვქონდეს "დავით ნარინ ყოფილი, დარიელი". ასეთი რამ კი უცნობია, არსად არაა და არც იქნება, იმიტომ, რომ დავით ნარინი ბერი არასდროს ყოფილა.

უმთავრესი ისაა, რომ ისტორიას არავითარი ცნობა არ გააჩნია დავით-ნარინის შემონაზონებაზე არც აღსაყდრებამდე და არც მეფობის ჟამს. პირიქით, მისი ხანგრძლივი მეფობა, სახელმწიფოს სახელისუფლო უწყვეტი საქმისპყრობლობა, ძალა-უფლებისათვის დაგვამოდებული ბრძოლა, საქართველოს ძლიერებისათვის ბრძოლა, დინასტიური ქიშპობა და შვილებზე ურვა აბსოლუტურად გამორიცხავენ დავით-ნარინის ბერობას. ის ისეთი კაცის შვილი და ისეთი პაპის ბადიში, ისეთი გენიალური ქართველი მოღვაწის გაზრდილი იყო, რომ არავითარ შემთხვევაში ბერად არ აღიკვეცებოდა, არც ჰქონდა საამისო მიზეზ-საბაბი. იგი ერის კაცი, ხელმწიფე იყო და მეფურად გარდაიცვალა.

რუსუდანის შვილი დავითი მონღოლეთში 3 ან 4 წელი ციწაურ ტყვეობაში იმყოფებოდა, ბევრი ტანჯვა-წვალება ან დამცირებაც გადაიტანა, მაგრამ ხელმწიფობაზე უარი არ უთქვამს, პირიქით, დავის მიძაძვილ დავით-ულუ გიორგი-დაშას ძეს ექიშპებოდა საქართველოს ტახტისათვის. დავით-ნარინი ბერი კი არა "აღატაკს ულუს წინაშე შეიპყრეს და წაიყვანეს საჭამორისა ადგილსა მარდავს", სადაც ბარუ-ნოინს საპატიო პატიმრად ყავდა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მასში მეფური სული, ძალა-უფლების სიყვარული, ტახტისადმი მიდრეკილება, რომ ორი ერთგული მსახურიც ტყვეობიდან გამოიქცა, ცხრა მთა, ცხრა ველი ვან-ვაგლახიც გადმოიარა, მესხეთს მიმარტა, ჯარი შეკრიბა და აჯანყდა კიდეც. 1259 წელს იგი არღუნ ხანად ყაენს შეებრძოლა ქარდღში და დიდადაც დაამარცხა. მეორე წელს ჰულაგუ ყაენმა არღუნს მრავალრიცხოვანი ლაშქარი მიაშველა. ნარინი ამჯერად განერიდა მას, იმერეთში გამაგრდა, სადაც გადასვლა მონღოლებმა ვერ გაბედეს.

დავით-ნარინი სასულიერო პირად არ აღკვეთილა, პირიქით, აქტიურ დიპლომატიურ, პოლიტიკურ და შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდა ერთმანეთზე წაკიდებულ ან უკმაყოფილო ყაენებთან მახვილით თუ მხარდაჭერით, მტრობით თუ მფარველობით. მან ჯერ შეიკედლა აბაღა ყაენისაგან განმდგარი მატონიშვილი თენკუითარი, მერე კი დაამარცხა. ასევე შეიხიზნა აბაღა ყაენისგან განმდგარი ლაღური, რომელიც რაჭის ერისთავ კახაბერ კახაბერის ძის ღალატში მონაწილეობდა თიმურს, მაგრამ ლაღური ვგონებ მეფის თვალად ჩანს უმადურ ნათესავად. დავით VI ბერის ჩოხა კი არა, აბჯარი ეცვა, უქარქაშო ხრმალი ეპყრა და მონღოლებთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში იყო ჩაბმული. 1270 წელს თენკუითარის დამარცხების შემდეგ აბაღა ყაენმა 30-ათასიანი მხედრიონი, სირმონ და ალინაყ ნოინების მეთაურობით, მოულოდნელად თავს დაასხა ქუთაისს ორჯერ, მაგრამ საწადელი ვერ აისრულა. ერთხელ დავით ნარინი ამაოში იყო, მოულოდნელობას არ დაუბნევია, ფიცხლად ცხენს მოევლო და "ერთია კაცია მარტო ივლტოდა"[11]. ქამთაალმწერელი წერს - მეფე კაცია /და არა ჩოხია/ ივლტოდაო. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება კარგად იცის ხელოვნებათმცოდნე ინა გომელაურმაც[12], მაგრამ რატომ არიან ტენდენციური გელათის ფრესკების შემფასებლები? ნარინი მეფე-რაინდი იყო და დიპლომატიც, რამეთუ ტრაპეზონის საკეისროსაც ეპოტინებოდა[13]. 1282 წელს ჯარით შეიჭრა კიდეც იქ და საქართველოში გამოთხოვილი, ტრაპეზონის კეისარ იოანე მეორის ქვიძლი და თეოდორა გაამეფა იმპერიაში[14].

აკად. გ.მელიქიშვილის მთავარი რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომში /თბ., 1979, გვ.654, სქ.3/ დავით-ნარინის მეფობა ბ.ლომინაძეს სრული საფუძვლიანობით მუსტად

---

11 ქარ.ცხ. II, თბ., 1959, გვ. 269, 7-9.

12 ი.გომელაური. მცვიმევი. თბ., 1982, გვ. 65-68.

13. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. III, თბ., 1966, გვ. 207-106.

14. იქვე, გვ. 208

აქვს განსაზღვრული 1245-1293 წლებით.* ამიტომ, ნარინი 1289-1293 წლებში მეფობიდან ჯუ ალკვეცა და შემონაზონდა, მისი ბერობის მქადაგებელს უნდა დაესახელებინათ მისი შემცვლელი და დაემტკიცებინათ იმიერ საქართველოში ვინ იყდა დავითისეული ტახტზე 1289-1293 წლებში. საბედნიეროდ, ასეთი პირი არ არსებობდა და არცაა მოხსენებული ისტორიაში. პირიქით, კარგად ვიცით, რომ დავით-ნარინი უწყვეტლივ მეფობდა 1245-1293 წლებში, რაც მტკიცდება ქარჯის ცხოვრების მატიანითაც.


ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ 1289 წელს გადაწყდა ქარჯეთის და სამცხის მეფედ დავით-ნარინის უფროსი ვაჟი ვახტანგი დაესვათ. მეფე ნარინმა ამაღლი ღიხნი გადმოიარა, შვილი ტაშისკარიდან მიიყვანა, ყორჩიბას და ყურუმჩის ჩააბარა და "მეფედ დავით შეიქცა ქუთათისს" /ქარ.ცხ. II, 293/; 1292 წელს კი "მეფედ დავითს ესმა სიკვდილი ვახტანგისი, დამწუხრდა" და 1293-ს მიიცვალა, "ხოლო მიიღო მეფობა კონსტანტინემ" /ქარ.ცხ. II, 295/.

ამრიგად, მეფე დავით VI რუსუდანის ძე ნარინად წოდებული, რომელიც 1230-1293 წლებში ცხოვრობდა, ხოლო 1245-1293 წლებში მეფობდა, ბერი არასდროს არ ყოფილა! ამის საილუსტრაციოდ ვამხელთ აგრეთვე ბერნარინად უსაფუძვლოდ გადანათლულ ფრესკის საიდუმლოებას: ალბათ დავით რ.მეფისაშვილის ხელტანა წიგნის /გელათი, ხმ., 1965/ XXIV სურათი ბერისა, გააშუქეთ ულტრაისფერი სხივით ან შეამჩნევთ დიდი ელვაფურით და გარდა იმისა, რომ მის თავსწინა შარავანდში ახალგამრდა შეუიარაღებელი თვალი ცხოველურ სახეებს, ღრმკაცის და ქაღის მოშრდილ თავს, ხოლო ქუდს უკან ფრთებგაშლილ არწივს დაინახავს, მსხვილი თეთრი ასომთავრულით "შიოანან"-საც ამოიკითხავს. ჭარმაგი ბერის შარავანდის

---

* მ.ნიკოლეიშვილის მიერ /გელათი. ხმ., 1982, გვ. 9/ დავით ნარინის ბერობის დათარილება 1247-1289 წლებით, მხოლოდ ირონიულ სიცილს იწვევს.

ზიდა წრეზე მიმკრალი ლიგატურით ნაწერში ძალზე ბევრი საგნაური იხილვის, მაგალითად, მარცხენა მხარის და შარავანდის საყარზეა მხედრულ-მთავრული ანბანით შესრულებული ლიგატურა, რომლის სრული გადმოწერა და ზუსტად წარმოსახვა ჭირს, მაგრამ უდავოა, რომ იქ წერია "შოშა".



მეფე დავით ბერ-ნარინად შეცდომით მიჩნეულ ფრესკაზე გამოსახული პირის საიდუმლოს ამოხსნასა და ვინაობის დადგენაში უმთავრესად გვეხმარება თვით ბერის სახის წინა პატარა ეპისტოლე, რომელიც ძირითადად გვაუწყებს: "... მეუფე შოთა რუსუდანით". არავითარი "ძე" აქ არ იკითხება. ბერის პორტრეტის ყურზე გამოკვეთილია "შოთა-მან", ხოლო მის ქვევით ღიპის ჩასწვრივ, სახის კანის და წვერის მიჯნაზე: "შოთა-მარ-რუსუდეს შეუნდე". ბერის თავსწინა წარწერის მეორე სტრიქონის პირველი სიტყვის პირველი ასო ჩვეულებრივ შავ-თეთრ და ფერად ფოტოზე კი არის ერთმანეთში შერწყმული მთავრულ-მხედრული შანი  რომლის მთქმევნო ასო მთლიანობაშია "შ", მაგრამ მის შუაღერში ლიგატურით  მის "მწ", ისეთი გრაფიკული დიდსტატობით, რომ ერთად დონსაც გამოხატავს. მესამე ასო "შ"-ა მკაფიოდ, ხოლო ბოლოს "ა". ამიტომ, იგი უნდა წავიკითხოთ "შ ო მ ა"-დ პირველ რიგში და არა "დ ნ" ანუ "დ [ავი] თ".

დავით-ნარინის და ბერის ფრესკის იდენტიფიკაცია, როგორც ჩანს, განაპირობა წარწერის მარჯვნივ წარმოუდგენელმა იმ მონაკვეთმა, რომელიც ხატს "მფე" ანუ "მ [ე] ფე"-დ იკითხება, მაგრამ, რომელიც უფრო ზუსტად "მეუფე"-ა. ალბათ, ამ მსგავსებამ დააბნია არქიტექტორი მეფისაშვილი, რომელმაც ძნელად ამოსაცნობი ადგილი, სადაც გარკვევით მხოლოდ "ფ" და "ე" ჩანდა, წაიკითხა როგორც "მეფე". "მეუფე" ძველქართული სიტყვაა და ეკლესიისათვის ნიშნავს უმენაეს ღვთაებას, ღმერთს, უფალს, გადატანითი მნიშვნელობით კი – უფროსს, ბატონ-პატრონს, მფლობელს, ბრძანებლის და წესის განმკარგველს, როგორც ეს სა-

ბასიან და ქარაული ენის განმარტებით ლექსიკონში. ამ ტერმინით ამკობდნენ კათალიკოს-პატრიარქებსაც; დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში იკითხება: "ვითა წინამძღარსა შჯ /უ/ისა ჩ/უქ /ნის/ა/სა, მ/ეუ/ფესა ი/ოვა/ნეს, ქ/ართლისა/ კ/ათალიკო/ზსა უბ/რძანე/ბია"...[15]

დავუბრუნდეთ გელათის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ ეკუდერის ბერ-დავით-ნარინის საბურველში შეცდომით გახვეულ ფრესკას, რომელზედაც ლუმინისცენციური პორტატული აპარატის მეოხებით საკმაოდ ვრცელი ტექსტი აღმოჩნდა. იგი თეორი ასოებითაა შესრულებული თავდაპირველ, სადღესასწაულო სანთლის მჭვარტლისგან ჩაშავებულ ვრცელ ძველ წარწერებზე. ლუმინისცენციური აპარატის დახმარებით და იგორ გიდგენდორფის მიერ გადაღებული ფოტოების გამოყენებით შევძელით მთელი ტექსტის მხოლოდ ჩარაულ გვერდზე დამოწმებული ფაქსიმილეს აღდგენა, რომელიც ქარაული ასომთავრულის ლიგატურით შედგენილი ფრაგმენტია /იხ.ჩანართის პირველი გვერდი/.

წარწერის მთლიანი წაკითხვა დასმული მიზნის საშვრებს ცილდება. ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ მასში არავითარ შემთხვევაში არ იკითხება "დ თ" ანუ "დ [ავით] თ", მუნდაც იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება "დ"-თ მიერ ნაკლული ასოს წინ კარგად ჩანილი "თ" /შანი/. ამ მეორე სტრიქონში სინამდვილეში და მკაფიოდ პირველ რიგში "შოთა" იკითხება. მავედრებელი ბერის ახალი ნათლია და წარწერის პირველი წამკითხველი ნამდვილად შემცდარია, დაბნეულია. ალბათ მსახურთ ბრალებენ რუსთველის დევნას, სახის წარხოცვას, ფხეკას, ამოშლას... არც მთლად უსაფუძვლო იყო, განსაკუთრებით ქარაული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობისას, მაგრამ, როგორც ვიწმუნდებით, შოთას სახება ქრებოდა წარწერების ბერეც და შეუსაბამო გადაკითხვითაც, რასაც თანადროული რესტავრატორები ამტკიცებდნენ უხეშად ფუნჯით.

---

15 ქარაული ისტორიული საბუთების კორპუსი. თბ., 1984, გვ.

ჟუ მაინცადამაინც ვინმეს პირველი სტრიქონის ჩემეული წაკით-
ხვა აინტერესებს, მოვახსენებ მას და ყველა დაინტერესებულ პირს, რომ
იმ ადგილზე, სადაც რ.მეფისაშვილი "მეფე"-ს, ხოლო მე "მე/უ/ფე"-ს
ვკითხულობ, სრულიად საფუძვლიანად შეიძლება ამოვიკითხოთ:

"დავ/ი/თ მეფ/ის/ მწყალ ქარ მოსა ალთ ციას/ჯ/ილ და ჯედ".

წარწერის ნაწილობრივი დაზიანების, ფერმკრთალობის და მაშასა-
დაშე ბუნდოვნების გამო, ზესაძლოა, არც ეს ჩვენი გამოფენა იყოს ბუს-
ტი, მაგრამ ჟუ გაკითვალისწინებთ ჩუსთველისეულ ცნობას ოქროფენტურ
საგანძურიდან, სადაც იგი იუწყება: "დავით მეფისა მეხმღე ვარ" და
"ბაღდასტარ"-ო, ამოკითხული ვარიანტი ადეკვატურად უფრო ახლო დგას,
ვიდრე მხოლოდ "მეფე"-ს ანდა "მე/უ/ფე"-ს წაკითხვა.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ბერის ფრესკაზე არსებული თეორასო-
ებიანი წარწერა ზეორადია (თავდაპირველ ტექსტზე ზევიდან შესრულებუ-
ლი 1730-1750 წლებში), ისევე, როგორც იერუსალიმის ფრესკისა, რომე-
ლიც ყველა ნიშნით 1640-1645 წლებში უნდა იყოს გაკეთებული ნიკოლოზ
ჩოლოყაშვილის თანხლების გამრიელ დროინდელის მიერ.

ჩვენი ეჭვის და მოსაზრებათა დამადასტურებელი საბუთების მოპო-
ვების მიზნით, გელათელი ბერის ფრესკის შემდგომი გამოკვლევის და
რენტგენოტომისოგრაფიული ფიქსირების აუცილებლობაზე მივმართეთ საქარ-
თველოს სსრ კულტურის სამინისტროს დასაბუთებული წერილობითი ხსოვნით,
რომლის საფუძველზე, დაყოვნებლივ, 1983 წლის 19-21 ივნისს მიგვავ-
ლინეს გელათს, სამინისტროს კონსულტანტ ვახტანგ კუპრავასთან, საქა-
რთველოს ხელოვნების მუზეუმის ფიზიკა-ოპტიკური ლაბორატორიის გამგის
იგორ გიდგენდორფთან და მის ასისტენტ ირაკლი იაკობაშვილთან ერთად.
მხარი დაგვიჭირა ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა თამაზ სანიკიძე-
მაც. ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის და სამმართველოს
უფროსის ირაკლი ციციშვილის სპეციალური ნებართვით გელათის მონასტერს
ვეწვიეთ და ხარაჩოები გავმართეთ. იგორ გიდგენდორფმა რამდენიმე სხი-
ვური სპეციალური გადაღებით დაადასტურა ადრე ნავარაუდევი ჩვენი ეჭვი

და მოსაზრებანი. ბერის ფრესკაზე არსად არ იკითხება "დ ი" ანუ "დ /ავი/ი", რაც ისედაც გარდუვალი იყო. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დავით ნარინს, ის რომ ბერი ყოფილიყო, შეუძლებელია შერჩენოდა თავისი საერო სახელი.


კულტურის მინისტრის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში, რომელსაც ხელს აწერენ ვახტანგ კუპრავა, იგორ გიდგენდორფი და ამ სტრიქონების ავტორი, მტკიცე რწმენით ნათქვამია, რომ ფრესკაზე იკითხება " ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲔ" და არა "მეფე დავით".

ი.გიდგენდორფის მიერ ბერიკაცის ფრესკის სილრმეში გადაღებულმა და გამომუღავნებულმა ფოტოებმა დაადასტურეს, რომ იქ იკითხება არა "დ ი", არამედ სამკაცრად ვრცელი წარწერა, რომლის სიძველე და შემეცნებითი მნიშვნელობა სრულიად უდავოა. ცხადია, ამ წარწერის ბერეღად შესწავლის შედეგებიც კი საფუძველშივე გამორიცხავენ სამხრეთ აღმოსავლეთ ეკუდერში მოხატული ბერის დავით ნარინთან გაიგივებას. ამ ვრცელი წარწერის ატრიბუციის საკითხი პაღეოგრაფიული კვლევის საგანია. მანამდე კი წინასწარი ინფორმაციის სახით ვიუწყებით, რომ იმ ადგილზე, სადაც 1951 წელს მხოლოდ ორი ასო "დი" წაიკითხეს , აღმოჩნდა ოთხი: I. "შ", II. "ი", რომელიც "მნ"-ს ლიგატურით შედგენილი 2 ღონია და მთლიანობაში "ი". III. "თ" და IV. "ა" ანუ "შ ი მ ა ". მესამე სტრიქონის პირველ ნაწილში "ა"-ს გარდა ყველაფერი შეიძლება წავიკითხოთ: "შენმან", "მეფემ", "მონამ", "შოთამ", "მარუშმან", "შოთამარ", "შოთას შეუნდე" და სხვა, მაგრამ "ძე" არავითარ შემთხვევაში არ ჩანს. მის შემდეგ მკაფიოდ იკითხება "ის", რომელსაც უზის "ს". მათ შემდეგ თავისუფლად იკითხება "თ", ერთად "ისთ". ჩეოთხე სტრიქონის საწყის ცარიელ სივრცეში, სხვა გრაფიკული მასალების საფუძველზე, აღვადგენთ ას ⴟ -ს, ანუ "კუს"*, რომელიც ძველი ქართული ანბანების 22-ე

---

* ასეა იგი რუსთველის პორტრეტად მიჩნეულ მინიატურაზე (იხ.ვეფხისტყაოსნის დასურათება. მინიატურები. თბ., 1960, თავი II, სურ. IV), რომელზედაც კარგად იკითხება ⴟ და რომელიც გავს მხედრულ ⴟ -მაგრამ არის ⴟ -ს წესამამისი.

წიშანი ანუ მესამე მწკრივის მეექვსე ასოა. ამ მეოთხე სტრიქონის პირველი ჩენილი ასოა "ღ" (ღასი) ღ და არა "ს", როგორც რ.მეფისაშვილს ჰგონია. "ღ"-ს მოსდევს "მ" /მანი" მ , რომელიც აბსოლუტურად არ უდგება "უ"-ს. მაგს გვერდიდა ასო ერთთავიანი 2 დონის და იოტას ღიგატურაა, რომელიც მდიანობაში "ს"-ს გამოსახავს. მოღო ასიც ღიგატურაა და როგორც ჩანს, "თ"-ს, "ტ"-ს და იოტას შეიცავს, მდღიანობაში კი "ნ"-ს წარმოადგენს. ამრიგად, მეოთხე სტრიქონი იკითხება: "ჯაღდან", რაც იგივე "კუელდან"-აა. ცნობილია, რომ გგერძოკომპაქტესი "კუ" ახლა "ჳ"-ღ იწერება და ვინად გამოიყმის. შდრ. კუერი-კვერი, ანდა კუაღდა-კვაღდა, ებხუარი-ებხვარი და სხვ./. მესამე სტრიქონის მოღო ნაწიღა "ჩუსთ"-ს ამ მეოთხე სტრიქონის "კუაღდან"-ს მიკუმატებთ, მივიღებთ "ჩუსთ-ჯაღდან"-ს მდღიანობაში კი "მ ე უ მ ე შ თ ა რ უ ს თ-კ უ ა ღ მ ა ნ ღ "-ს. აღსანიშნავია, რომ ამ წინადადების მოღო სიტყვის პირველ ასო "რ"-სთან ღიგატურაში მის "ტ" /ტარი/, რომელიც ანთროპონიმს დარგობრივი სემანტიკის მნიშვნელობას ანიჭებს და წარწერა გვაუწყებს, ფრესკაზე გამოსახულია "მ ე უ მ ე შ თ ა ტ რ უ ს თ კ უ ა ღ მ ა ნ ღ ", ანუ მეუფე შოთა მტრუსველ-კუერელი აღმეცხღით მნათი, ერთი სიტყვით, ოქრომჭედელი. ეს სრულიად აბღებური ეტიმოლოგია მევრს, აღბათ, უცნაურად მოეჩვენება, მიკუმეტეს, რომ იგი გრაფიკულადაც ორიგინალურად გამოიყურება:



პოეტის გვარსახელის ახლად წარმოჩენილი ვარიანტი, ფორმა და ფერისცვალება გვათმუნებს საკითხი ისტორიულ და ეტიმოლოგიურ ასპექტში ძირფესვიანად განვიხილოთ ვრცლად და ვედანტური სიზუსტით. რუსთველოლოგიაში დადგენილია, რომ პოეტის ნამდვილი გვარსახელი შოთა რუსთველი არაა და იგი შერქმეული ზედწოდებაა. ფეშმარიტად, მაგრამ არ გამორიცხავენ მის სემასიოლოგიურ მრიშვნელობას. თეიმურაზ ბაგრატიონმა "შოთა" ძველ წარმართულ სახელად მიიჩნია /"შოტტა ანუ შოთა დიად ტკბილი არის ქართული"/ და იგი არმაზის კერპის სახელს "შოტტა"-ს დაუკავშირა /იხ.გ.შარაძე. თეიმურაზ ბაგრატიონი. II, თბ., 1974, გვ. 91-92/. მოსე ჯანაშვილი გვაუწყებს: "შოშა. ეს სიტყვა წმინდა ქართულია და წარმოდგება მწვრილან შოტვა, იგივ [იღლიად] შოთვა და ნიშნავს გრძელს, გრძლად გაჭიმულს, აჭიმულს. მისგან საერთო ხმარებაშია ძველადგანვე ქართულებრ გამომცხვარი პური "შოთი..."[16] ასეა სინამდვილეში; "შოთ", აქედან "შოთება" ნიშნავს გაბრტყელებას, მოთლვას, გაწელვას, გაჭიმვას, გაშოტვას, შოთებას, რაც ღიდონის ერთ-ერთ ტექნოლოგიურ პროცესს აღნიშნავს. აქედანაა "აშოტილი", "გაშოტილი", "შოშოთილი", "შოთი პური". ფიქრობენ უწოდებენ "შოთი"-ს; "შოტი" ნიშნავს აგრეთვე უნაპირობს, მრგვალად მოტრიალებულ ნივთს, ადგილს, ქვეყანას. შანქორთან აშოტილ მთას ერქვა შოშას მთა[17], საინგილოს ერთ სოფელს - შ ი ო ა ა რ ი.[18] ს.კაკაბაძე სახელს "შოთა"-ს უკავშირებდა ფაჭიაურ-საპარსულ "ჩამდან"-ს, რომელიც კერპ "იამატ"-ის მრავლობით ფორმად მიიჩნია და ქართულ "ანგელოზანს" უსადაგებდა. ასეთი დაკავშირება ჰიპოთეტურია, პარალელის გავლება კი შესაძლებელი, რადგან ორივე ცნების კუთხით და მეტიმონოლოგიასთანაა დაკავშირებული. ავესტას მოხსენებული "იამატი" ანალოგიურია "იამათან/იამათენ"-ის ანუ ციკლის და ანდ//ანთ ხალხის სახელის.

---

16 რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა. III, თბილისი, 1982, გვ. 127.

17 ქართლის ცხოვრება. თბილისი, 1959, ტ. II, გვ. 68, 10-11.

18 რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა. III, თბ., 1982, გვ. 127

არმამს სწირავდნენ სანთელს, შიო პურს, რომელსაც შეცვალა წარმართული შიო იღეარო ანუ ღიდონის ან ოქრო-ვერცხლის ღავაზივით გამტკიცული გრაგნილი, რომელსაც უპად//უფალი მხატვრულად ასურათხატებდა, კუერავდა, არუქურთმებდა ანუ აპაკუნებდა. ღიდონის თელვა-ბრტყელების ღვთაება იყო "შ ი შ", რომელსაც ცინტრალურ ანგოღანდში /იხ.ე. ფრეზერის "ზოღოტაია ვეტვ." გამ. I, 1928, გვ. 90, რუსულად/ და ძველ საქართველოშიც პატივით მოსავდნენ. წარმართული და ქრისტიანული ხანის ბევრ არქეოლოგიურ ნივთზე იკითხება "შიშ", მაგალითად კარაკაღის მცხეთურ გუღანდზეღაც. ღექსიკოლოგ საბას განმარტებული აქვს: "შიში-შიგ[ი]ძე, მოსქე". ამრიგად, "შიშა" დარგობრივი ღექსიკიდანაა ალმოცენებული და სკუთარ სახელადაა ქცეული. სომხურ "აშოთ//აშოტ"-თან სახელ "შოთას" გაიგივება ისეთი პრობანციაა, რომ აკად. აღ.მარამიძისა არ იყოს, განსჯასაც კი არ იმსახურებს; წარმართობასთან დაკავშირება და პარალელის გავლება კი სხვა საქმეა.

"რუსთველი" თუ "რუსთაველი?"

პოეტის გვარად მიჩნეული და გავრცელებული ზედწოდებითი ფორმა "რუსთველი" და გელათის ტაძრის ფრესკიდან ამოტივტივებული "ტრუსთაკუალმაზე " ქართულ ოქრომწერლურ საგანძურზე და ზოგიერთ ფრესკაზეც ღიდოქტატური კალიგრაფიული ხელოვნებითაა გაკეთებული. მათში მცირე სხვაობა შეინიშნება. წარწერის საბიარო გვერდები დანარჩენი ხაზებისგან განირჩევა სისქით ან ორმხრივი პირუკმო დახრილობით, რაც ჩვღილის ეფექტს ქმნის და ღიგატურაში მჯღარი ასოები ერთმანეთისგან შესამჩნევად განირჩევიან. მათი საერთო ტიპიური მოღელია:



როგორც ვხედავთ, წინა ასოს კონფიგურაციაში "ტ" და "რ" ნაწილობრივაა შერწყმული — ტარი თავით, რაც კი ბოლოში; "უ" მიტმასნებულია სანთან, რომლის ტანში ჩამჯდარია "  ". ამ თანწყ წანაგარდი ჯები მუცლის ნაწილად აქვს გამოყენებული  - კანის თავს, რომლის წრის ზედა ნაწილს და შვეულ ხაზს იყენებს - ღასი, ხოლო ამ - მუცელს ეყრდნობა -ბანი, რომელიც თავის გვერდს უმიარებს - ნარს. ეს უკანასკნელი ასო კი თავის ქვედა წრით იოტას წარმოადგენს. ამასთანავე, როგორც ვხედავთ, იღუსტრირებულ მაგალითში ხმოვნები არ ჩანს. ამიტომ მათი გაურკვევლობა-გაბნევანება ანუ ამოკარაგმება შეიძლება მოხდეს "ანით" ან "ენით" და ამგვარად მივიღოთ "ტრუსკუალმანდ" ანდა "ტრუსკუალმანდ " და "ტრუსკუელმანდ". "ტრუსკუალ//ტრუსკუელ" ორნაწილედი ხელოვნური კომპოზიცია და იწლება 4 კომპონენტად: ტრუს-თ-კუ-ალ//ტრუს-თ-კუ-ელ. "ტრუს" და "კუ" ბმული ძირ-ფუძეებია, "თ" მრავლობითობის ნიშანი, ხოლო "ალ/ელ" პრეფსიის მაწარმოებელი სუფიქსი. შდრ. "მჭედელი -- მჭედელთ" "მკუერელი -- მკუერელთ", "მტრუსველი — მტრუსველთ". პირველი მორფემა ბმა "ტრუსვა"-ს ფუძეა, მეორე კი "კუერ/კუელ//კუველ/კუველი"-სა. მათი ტემპერაციით ანუ ჯეროვანი შერწყმით მიღებულია აგლუტინაციური ე.ი. ორი სიტყვის შეერთებით წარმოქმნილი კომპოზიტი "კუელ//ველ"-ის კონსონანსური ანუ ჰარმონიული წეხამება.

ამგვარად მიღებული ახალი, ანუ კონტამინაციური ლექსემის "ტრუსკუალ//ტრუსკუელი"-სათვის, წინა "ტ" /ტარი/ ქარმული ენის მუნებამ პროთეტულად ანუ წედმეტად აქცია. ამასთანავე, უნდა ვიცოდეთ, რომ შოთა რუსთველის გვარი არაბულად იწერებოდა "რ უ ს ტ უ ა ლ ი"*.

---

* არაბული "ვავი" იკითხება -ით, ისე "უ" /უნათად./. რუსთველის ლექსის არაბულიდან ფრანგულად მთარგმნელმა ტუსენმა "ვავი" ამოიკითხა "ტ"-დ და მიიღო "რუსტუალი", რომელიც სიწამდვილეში იყო "რუსთალი" /იხ.მ.ალუას "კვალი იმედიაში"/.

ჯვარისანთა ლაშქრობის შესახებ არსებულ "ალბერტ აქველის ისტორიკოსთა კრებულში" მოხსენებული თამარ მეფის ელჩი იერუსალიმში იწოდება რასულ ად-გურჯად, რომელსაც პროფ. ს.ყაუხჩიშვილი შოთა რუსთველად მიიჩნევდა; ძნელია რათქმა უნდა, მაგრამ წინაწდობლივია, რომ იგი ბევრ საერთოს პოულობს "რუსთაველ//რუსთველ"-თან. ისტორიულ ასპექტში მისი საგულვებელი პარალელია იტალო-ლიგურიული ეთნიკური ტერმინი "ეტრუსკ", რომლის პარადიგმატული ჰეტეროკლიზებია" ეტრუსკო/ეტრუსკ// //ეტრუსკუ/ეტრუსკუე", რომლისთვისაც საინტერესო პარალელი იძებნება ქართულ სამყაროში ეთნიკურ ერთეულის "ფუში"-ს სახით — იესტრატისათვის: ფუშ → მეფუშაელ/მაფუსალა და ფუში/ფუსკო/მესხი[19]. ჩვენი ვარაუდით ანალოგიურად ჩამოყალიბდა:

"რ უ ს თ ა ვ ე ლ//რ უ ს თ ა ვ ე ლ//რ უ ს თ უ ე ლ//

//რ უ ს თ ვ ე ლ ი".

პრეველენტად დავითმხედრობა მეზურგეობუნეს აბულასანის მედროებას "რუისთ ს". საინტერესოა ისიც, რომ ძველ საბუთებში რუსთავის ეპისკოპოსები იწოდებიან: "რუსთ სპაწ"-ად ან "რუსთ სპაწ"-ად. მარი ბროსეს არქეოლოგიური მოგზაურობის მეორე ტომის 52-ე გვერდის დოკუმენტაციაში რუსთავის არქიეპისკოპოსი სტეფანე "რუსთ სა"-დ იხსენიება.

უნებურად იბადება კითხვა: რატომაა "ტრუს" მრავლობით რიცხვში /"ტრუსთ"/ და კლასიკური ხანის "კუალ//კუელ" მხოლობითში? იმიტომ, რომ მცხეთელ-მწყეთელ-მწყალ მეტაფორა-მეტონიმიათა გამოდნობილ და მოთელილ-გაბრტყელებულ ანუ კულტ-ჭეშმარიტ ბ ა ზ ი ს წედ მასალას ნივთად ქმნიდა და მხატვრულად აპრკეთებდა ერთი მაღალკვალიფიციური ოსტატი, მარ ში, ე.ი. ოქრო-ვერცხლის პეტალად /ფოლგად/ მოთუნეთა ნახელავის მომპრკეთებელი ერთი დიდოსტატი; ძველად მეტიმონეთა ამ-

---

19 თ.ყაუხჩიშვილი. რანთა და კახთა სამეფო. თბ., 1982, გვ.64-65.

ქარში ირიცხებოდნენ არხანგელ/აღბარგელნი* /აღ-ბუარ-კუელ/აღ-ბუაღ-კუაღი/, მწყელნი ანუ მცხუნვარენი, კუერმჭედელნი და აპაღ/აპარ/აპაღუნნი, რომლებიც აპაღონ/აპაღუნის ღვთაებას ჩაენაცვლნენ. მაშასადამე, ღიდონის მტრუსველნი, მშოთველნი, მკაღუელნი მევრნი არიან, მხატვრულად მომპირკეთებელ-მძერწველნი კი ერთუღები; მომარნიშებულ სახე-ჩუქურთმას ერთი აკეთებდა პარ/პაღიო, ანუ აპარპაღებიო და იგი იყო აპაღეუნა, რომელიც სპეციალიზაცია-საოქრომჭედლო არას მარქაშ/მარქაღი ე.ი. უფროსი ოსტატი იყო. ამიტომ იგი ტრუსთა ნახ/უ/ელავის კუირიკე, კუელი, ტრუსთკუელია, პეტაღის /ხელში გრაგნილივით რომ უჭირავთ ხოლმე/ ტექნოლოგიური პროცესის დამაგვირგვინებელი.

ამრიგად, "ი ე ს ო ვ ე ღ ი" პერსონიფიცირებული ანუ ტოპონიმიდან მიღებული ანთროპონიმი კი არაა, არამედ სამოხელეო, პროფესიონალური მეტწოდება /შდრ. მხურვალი, მხალველი, მკალველი, მსახვრალი// მსახვრელი, კუა-მარ-ალ/კუე-მერ-ელ/ კვეშერელი, ჭედველი, მწყელი/ მწველი/, რომელიც პოეტის ფსევდონიმად იქცა და გვარის შესაბამისი იერ-სახე, "ო რ ე ს ო კ ე ა ღ (რ ე ს ო კ ე ე ღ) რ ე ს ო ვ ე ღ // რ ე ს ო ვ ე ღ ი". მიიღო. იგი რომ "როსთველი" ყოფილიყო, მაშინ წინამდებარე სემასიოლოგიური წიაღსვლა შეუძლებელი იქნებოდა. მაშასადამე, სწორი ფორმაა არა "როსთველ", არამედ "რუსთველი", როგორცაა დამკვიდრებული. აღსანიშნავია ისიც, რომ "რუსთველის" ჩვენეული ეტიმოლოგია სავსებით თუ არა, ნაწილობრივ მაინც კარგად ეხმიანება მეცნიერებათა, საქმეთა და მარგალ/მარქაშ: ა უხ-ოსის უფლება-მოვალეობებში ნაგულისხმევ მოვალეობებს, შინაარსობრივად ეკილოკავება და შესაფერისად ეხმაურება:

ხე-ლურ-ჯული/ხე-ლურ-ჯუ-ალ/ხელმწიფეთუხუცესობას

რუსთ-კაღ//რუსთ-კელ/რუსთველ//რუსთველი

---

* არქეტიპში უფუოდ იყო "აღ-ბუაღ-კუელი//აღ-ბუარ-კუარი".

"ტრუსა[illegible]აც/ჩუსა[illegible]ეც/ჩუსაფეც"-ის ჩვენეულ კონსტრუქციას, არა-ბუღის ტრანსლიტერაციას და ფონეტიკურ ტრანსფორმაციას საუცხოოდ ესა-დაგება სპარსული პოეტის ხაყანის მიერ შოთას ხსენება "ჩუსთა /ხ̌არ-ე-ჩუსთა/ ვირის" სახით. ხაყანს გაუგრძახავს "გრძახვა ჩუსთა/ვირის"-ა, იმისათვის, რომ "ის, როგორც კაცია ისე სჯობს სარწმუნოების ყანაზე აღმონაცენს"[20]. დავისთავად ცხადი და უდავოა, რომ ხაყანი სახელგან-თქმულ დანამოკალმეს ორი კნინობითი სახელით კი არა, ერთითაც არ მოი-ხსენიებდა; მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ სპარსული პოეტი გაკად-ნიერდა და შოთას "ვირი" უწოდა. მაშინ "ხ̌ ა რ" რაღაა? უმტკიცებლა-დაც დასაჯერია, რომ მასში პირუტყვი არ იგულისხმება. ყველა საფუძვე-ლი გვაქვს და გონივრულიცაა მასში "ხუარ/ხკუარი" ანუ მჭედელი, მცე-მი, დამრტყმელი, მკუერელი, მხურვებელი, მახუარი, ცეცხლის აღმე ღი-ორნის მხუარ//მხკუარ,მხკუელ/მკუელ/კუელ/ქუელი ვიაზროთ.

ამ წიაღსვლების შემდეგ უფრო ნათელი ხდება პოეტის სიტყვები: "მე რუსთველი ხელობითა", რომელიც ადრე იწერებოდა და გამოითქმოდა ძველებურად: "მე რუსთ[illegible]ელი ჭ[illegible]ელობითა"-დ, არქეტიპში კი იყო: "მე ტრუს[illegible]აელი ჭ[illegible]ელობითა", სადაც "ჭელობა" მოხელეობა-პროფესიას გვაცნაურებდა ანდა "დაკვრა", "დარტყმა", დაცხება"-ს და შესაძლოა "მხურვებელსაც". მაშასადამე, "მე რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა-დარი" - ნიშნავდა უფრო "მე რუსთ[illegible]ელი ჭელობითა, ვიქმ საქმე-სა აღამდარი", ანუ "მე მწვედ /მტრუსველ/ მჭედელი ხელობით /ან "ხუარ" "ხუელი"/ ვაკეთებ საქმეს აღამდარი". პოემის პროლოგის ამ მეორე სტრო-ფის პირველი ტაეპის განხილვისას მკვლევარი ანდრო ღლონტი "ამა-დარის" "ამაგდარისა" და "აღამდარის" მაგიერ გონებამახვილურად გვთა-ვაზობს სპარსულ "ამაც-დარი"-ს, "გამგებელ-მოხელეს" გააჩრებით /"ლიტ. საქართველო", 6.V.88/. მართლაც, "ხელობა"-დ ქცეულ "ჭელობა"-ს

---

20 კ.კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. II, 1958, გვ. 159, სქ. 1.

ე.ი. ხელობა-საქმიანობას მუსტად მეეფერება "ტრუსკაც//რუსკელი". დისონანსს ქმნის "რუსთაველი" და "რუსთველი"-ც კი. "რუსკელ"-ს საუცხოოდ ესადაგება "ხელობა" "ძაღაუჭღება-ხელისუფლების" გაგებით.

მაშასადამე, მგოსანი შოთა//იოანე გვაუწყებს: "მე მჭედელი პროფესიით, ვიქმ საქმესა აღამდარი" ან "მოხელე-გამგებელი"-ო. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტაეპში არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება რუსთავის გამგებლობა. ამასთანავე, ა.ღლონტი ჭეშმარიტად დასძენს "სახელი რუსთველი საერო ზედწოდებაა "ვეფხისტყაოსნის" ავტორისა და არა მისი სასულიერო წოდება-ტიტული". სამწუხაროდ ჩვენს კოლეგას ვერ ვერწმუნებით ტოპონიმ რუსთავთან შოთას დაკავშირებასა და მისგან ანთროპონიმ "რუსკელი"-ს წარმოქმნაში.

მერვე სტროფის პირველ ტაეპის გარდა ქარმონიულად ჟღერს, აგრეთვე, დიდი პოეტის მეორე ნაშქვამიც: "დავჯე რუსკელთან გავლექსე" ანუ "დავჯე ტრუსკელთან გავლექსე", რაც ნიშნავს იმას, რომ "რუსკელი" გვარად ქცეული სამოხელეო-პროფესიონალური ტერმინია.

ქართველი პოეტის ხაყანისეულ გვარ-სახელში შეიძლება დავინახოთ ეთნიკური "ხური"-ს ელემენტიც და მახეიც/მახვილის მცემ პირზე მინიშნებაც, ხოლო, რაც შეეხება მეორე "შეუფერებელ" ეპითეტს - "ვირი"-ს, შევნიშნავთ, რომ ისიც ენის კანონზომიერების, ე.წ. ინოვაციის, ბგერათა ურთიერთდამოკიდებულების ანუ კორელაციის და კონფიგურაციული ცვლის შედეგია. მისი პირველი გრაფემის გრაფიკა იყო ჳ/ꙗ, რომელმაც ბგერათმონაცვლეობით ე.ი. აღტერნაციით მოგვცა "ვ" /ვირი/; იყო ꙗირი//ꙗირი, ბაგრამ დღეს ფონეტიკური ცვლის გამო, მის ბაგიერ წერენ "ვირი"-ს. ამ ტერმინის მასდარი ადრე იყო "კუივირ//კუვირ//კუირ". შდრ. ეკუდერი → ეკვდერი, კუეცა → კვეცა, კუესი → კვესი, ხკუერი → კუერი → კვერი და სხვ. "უე" და "ვე" ანუ "კუე" და კვე" დიფთონგებია, ხოლო ꙗ, "კ"-სა და "უ"-ს ლიგატურა. დარწმუნებული ვარო, რომ სპარსულ ხაყანს ჩვენი პოეტი მოხ-

სენებული ჰყავს არა "ვირად", არამედ "ჳვირ//ჳვირ"-ად ანუ მჭედად, მკვეთელად, ოქრომჭედად, მახვილის კუვირიკედ//კუვირიკედ/, //კვირიკედ, საკუირვე/საკვირვე პირად. სავარაუდოა ის ცნობილი ფაქტიც, რომ XI-XIII საუკუნემდე ისტორიული საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას იბერს, ბერძნულ-ბიზანტიური გამოთქმით ივერს (Ивер|Ибер-ს მდრ. "იბერია//ივერია") უწოდებდნენ; "იბერის" და "ვირის" იგივეობა კარგად ჩანს ევსევი კესარიელის /260-340/ მიერ ხსენებულ "იბერის"-ადმი შესატყვის ლათინურ ტექსტის "Virri" -ანუ ვირრიო /იხ. გეორგიკა, 1, ფბ., 1961, გვ.31/. მაშასადამე, ხაყანისეული "ვირის" გაოგანაბრება ეთნიკურ "ივერ//იბერ"-თან, ცხადია, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ამრიგად, აკად. კ.კეკელიძის მიერ დამოწმებული ანთროპონიმი "რუსთა//ხურე-რუსთა//ვირი", ჩვენი რწმენით "ტრუსთა მახუარ-მკუერე იბერ"-ს, ანუ იგივე "რუსთ-ხუარ-კუერე ივირი"-ს უნდა წიშნავდეს. აღარ გამოვუდგებით თავსართავ ინით გაფორმებულ "ი-ვირი"-სა და ვირ//ბირის ანუ იგივე "ი-ბერ//ბერი"-ს იდენტურობის კანონიკურობაზე მსჯელობას, რამეთუ იგი ენის გრამატიკული კანონზომიერების ელემენტარული მოვლენაა. ბოლოს და ბოლოს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე, კარიესიდან რამდენიმე კილომეტრით დაცილებულ ქართული კულტურის უძველეს კერას ათონის მთაზე განა "ივირონი" არ ეწოდებოდა?! მაშასადამე, ხაყანის "ხურე-რუსთა ვირი" იგივეა, რაც "ხუარი /ტ/ რუსთჳა ივირი" ანუ "ხუარი /ტ/რუსჳა იბერი" და არა "ვირი-სახედარი". ივერ//იბერი კი, - როგორც ვიცით, და ცნობილია მეცნიერულ ლიტერატურაში, - გაიგივებულია რვალისა და რკინის ხურო თობელ//თუბერ//თუბალ//თუ-ბართან; აქედან გამომდინარე, "ივირ/იბერი" და "თუ-ბალ/თუ-ბარი" თავის ჰეტეროკლიტ "თუ-ბალ//თუ-ბარ"-თან ერთად "ივირ/ივერ/იბერს" ნიშნავს, რომელსაც გრამატიკულ თავსართად ხმოვანს თუ ჩამოვაცილებთ, ხელში შეგვრჩება ხაყანისეული "ვირი", რომელიც იბერი ანუ იგივე ბარ-//ბალი ხალხის ეთნიკური სახელია.

ისპის კითხვა: კეთილი და პატიოსანი, მაგრამ იყო ასეთი გვარ-ტომი და მეტყველება? დიახ იყო!!! და იყო არა მხოლოდ მოდგმა ფუ-პაღი, არამედ პაღი ენა და დაბეჭდილობა პაღიც, რომელიც ძაღზე ახლო დგას ქართულ მხედრულთან გრაფიკულადაც.

საბოლოო ჯამში, ქართველი დიდი პოეტის ვიწაობის მაუწყებელ. გრაფიკულ კონსტრუქციებში იკვეთება "ტრუს-ფ-ა -ან//რუს-ფ-ა -ელ// რუს-ფ-ვ-ელი", რომელიც ღითონის მზოთებელ დიდოსტატთა უხუცესის გვარად იქცა, პოეტის მეორე პროფესიაზე მიგვანიშნებს და სამხედრო მღნებებზეა აღმოცენებულ-შედგენილი.

დიდი ქართველი მგოსნის გვარად ქცეული "რუსთაველი" შეიკრება დავუკავშიროთ, აგრეთვე, შოთას წინაპარ კურატპალატთა საგვარეულო ონომასტიკონს "მარუშიან"-ს და მის ეთნარქ "მარუშ"-ს* იმ პირობით ფუ მის წინა "მა"-ს ადამიანის კატეგორიის ფორმანტად ე.ი. გვარის მწარმოებელ დანართად /დეტერმინანტად/ ან წარმომავლობის მაჩვენებლად მივიჩნევთ "მარგვეთელი"-ს, "მეგვიპტელი"-ს, "მასხულია"-ს მსგავსად. ასეთ შემთხვევაში მისი ფუძე იქნება "რუშ", მრავლობითში "რუშთ", რომელიც "რუსთ"-ის ტოლფარდობანია /ს-შ-ჩ-ც-წ ბგერათა კანონზომიერი მონაცვლეობის წესით/. შდრ. "სუანი-შუანი" და სხვ. მაშასადამე, შოთა "რუშ//რუსთ"-ა გვარის ე.ი. "მა-რუშ//მა-რუსთ"-ა საგვარეულოს ჩამომავლად წარმოჩნდება, გვარისა, რომელიც წარმოშობილია პროფესიის აღმნიშვნელ "ა -ან// "ა -ელ"-ე მღნის ფუძეზე "ალ/ელ" გრამატიკული სუფიქსის დართვით:

რუშ-ფ-ა -ან → რუს-ფ-ა -ელ → რუს-ფ-ვ-ელ

რაც ნიშნავს "მარუშთა" ანუ "მარუშიან მჭედელს" და რაც მხარს უჭერს ხაყანის მიერ შოთას მოხსენიებას "რუსთა/ხარ-ე-რუსთა/ვირი"-დ, რომლის პარაღელადაც გამოდგება "რუშთა/ხა//ხუან-ე-რუსთა//რუშთა/ივირ/იბერი".

---

* ისტორიულად ცნობილია ხაღიც "მარის" სახელით, აქედან "მარიანნი", იგივე "მარუანი"; ქეთევან წამებულს სპარსელნი "მარიანი"-საც უწოდებდნენ. იხ. ი.ტაბაღუა: "საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში", III, თბ., 1967, გვ.50, სქ.134.

საინტერესო და საგულისხმო პარალელია რუისის XI საუკუნის მწა-
ვარეპისკოპოსის ღეონტის გვარად ქცეული "მრუველი"[21]. ქართლის საეპი-
სკოპოსო კათედრაზე ბევრი ჩანს "მრუველ//მროველი". ისინი ეპისტოლე-
ობა წიგნში იხსენიებიან "მარუველი"-ს[22] ანუ "მაროველი"-ს მედწოდე-
ბით, რომელსაც გრამატიკულ "მა"-ს ფუ ჩამოკვეცთ, რჩება "რუფ", ანუ
"რუს", რომელიც მრავლობითობის ნიშან "თ"-თი, ბმრის ფუძე "ჲ" "თი
და გვარის მწარმოებელ "ელ"-ით ფორმდება "რუს-თ-ჲ-ელ"-ად.

ებღა თვალი გავადევნოთ ჩვენს სინამდვილეში როგორ მკვიდრდება
"ვეფხისტყაოსნის" ავტორის ანთროპონიმი. მეიქმნა მგოსანთა მგოსნის
საზოგადოება. გამოქვეყნდა მისი წესდება, რომელიც საჯაროდ განიხილეს,
თუმც ზოგიერთი არსებითი შენიშვნა გაუთვალისწინებელი დარჩა. "ვეფხის-
ტყაოსნის" ავტორის უკვდავმყოფელი საზოგადოების სახელად ჯერხნობით
"რუსთაველი" ფიგურირებს. სწორია? კარგად დავფიქრდეთ. ჩემი აზრით, არ
გამოდგება "რუსთაველის საზოგადოება"; უმჯობესად მიგვაჩნია და სწორიც
იქნება თუ მას "რუსთველის საზოგადოება"-ს ვუწოდებთ შემდეგ გარემო-
ებათა გამო.

1. უპირველესად ყოვლისა, თვით პოეტი თავის თავს "რუსთველობით"
მოიხსენიებს: "მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამათ დარი"-ო.
პროლოგში მოთა წერს: "დავჯე რუსთველმან გავიქსე..." ეპილოგში კი
იკითხება: "ტარიელ-მისსა რუსთველსა"...

2. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები: როსტომიანი, ომანიანი,
გარამ-გურიანი, დიდმოურავიანი მოთას იცნობენ როგორც "რუსთველს",
ცნობილია ისიც, რომ XVIII საუკუნეებლები მწიგნობარნი იოსებ მილიხანი-
ანი, პოეტი თეიმურაზ I, მეფე არჩილი, "ვეფხისტყაოსნის" მეჭდურად
პირველი გამომცემელი ვახტანგ VI, სულხან თანიაშვილი, მამუკა გარა-
თაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვები მოთას "რუსთველად" იხსენიე-
ბენ.

---

21 ს.სარჯველაძე.ღეონტი მროველი - "ლიტ.საქართველო", 25, I.85.

22 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.VIII, გვ.466, ჯ.გვასალიას სტატია.

საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი.

XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ნოდარ ციციშვილის თარგმანის "ბარამგურიანის" შესავალი გვამცნობს:

<u>რუსთველს</u> არ დარჩა უფქმელი, რაც ოდენ სისხვდა გონება.

/"შვიდი მთიები"/

მსგავსად უჭია <u>რ უ ს თ ვ ე ლ ს ა</u> ... /ბარამგურიანი/.

არჩილ მეფე "თეიმურაზ მეფისა და რუსთველის გაბაასებაში" სამაყო თანამოკალმე პოეტს ხშირად ახსენებს რუსთველად:

ნახეთ, <u>რ უ ს თ ვ ე ლ ი</u> მეფესა რა ტკბილად გასიტყვებოდეს!

<u>რ უ ს თ ვ ე ლ ო</u>, ყური მამიპყარ, გვაჯრიან მე და შენაო.

ჰე, <u>რ უ ს თ ვ ე ლ ო</u>, მოიცადე, დადეგ, სიტყვა შეინახე.

<u>რ უ ს თ ვ ე ლ ი ს ა</u> სიქვა: კაცის-კაცად საქმე რამე დიდი ძესა.

ნანუჩას <u>რ უ ს თ ვ ე ლ ი ს</u> ნაოქვამში ბევრი რამ ჩაურევია.

<u>რ უ ს თ ვ ე ლ ი</u> სიბრძნის ტბა არის...*

3. ვახტანგ მეფის მიერ გამოცემულ "ვეფხისტყაოსნის" თარგმანებში ანუ ახსნა-განმარტებაში შოთა რუსთველობითაა დამოწმებული: "რაც <u>რ უ ს თ ვ ე ლ ი ს ა ს ა</u>, იმას გარდა არა მიოქვამს რა"; "დავად <u>რ უ ს თ ვ ე ლ ი ს</u> დროს ქაღი ბატონობდა"; სჩირს <u>რ უ ს თ ვ ე ლ ი ს</u> ღექსსა"; "<u>რ უ ს თ ვ ე ლ ი</u> შებძღე და კაიკაცი ყოფილა"; დამარ მეფემ /ა.ც./ "უბრძანა მის მდივანს <u>რ უ ს თ ვ ე ლ ს</u>, ქართული ენით კაი ღექსები თქვიო".

დავით გურამიშვილი ამბობდა: "მე <u>რ უ ს თ ვ ე ლ ს ა</u> ღექსს არ უდრი"-ო, ჭიმოთ გაბაშვილიც კი თავის "ზიმოსვლა"-ში "მთქმელსა

---

* "რუსთველი-რუსთაველი"-ს საკითხი მოკლედ გავაშუქეთ "კომუნისტში" /6. III.88/. მისი ჩვენებული სათაური რუბრიკის მომმზადებელმა ნანა ღვინეფაძემ თვითნებურად შეცვალა არჩილისეული მეტაფორით და ედემისეული "რუსთველი"-ს მაგიერ იხმარა "რუსთაველი", რაც ჩემი სტატიის შინაარსს ალაგ მიესადაგა და პოეტის ღექსის არითმიაც გამოიწვია.. სამწუხაროა! ჟურნალისტ-მეგამეები მეტი პატივით უნდა ეკიდებოდნენ ავტორისეულ ტექსტს. /ა.ც./.

ლექსთა ბორტნიასა"-ს უწოდებდა "რუსკვენს" მეფურჩლიუსუცესს. უფრო მეტიც, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოხატულ შოთას ფრესკას აწერია "რუსკვენი" და არა "რუსთაველი".

საკითხის სრული სიცხადისათვის აღვნიშნავთ, რომ "რუსთველი" და "რუსთაველი" ფუძისეული ხმოვნის კუმშვით ანუ სინკოპეთი, ე.ი. მხოლოდ ფონეტიკურად როდი განსხვავდებიან, ისინი სემანტიკურადაც სხვადასხვა მნიშვნელობისანი არიან. ე.ი. "რუსთველი" ფუძეშეკუმშული გვარი კი არ არის მხოლოდ, არამედ განსხვავებული შინაარსის სიტყვაცაა და შეუკუმშავ "რუსთაველისგან" აზრის გამომხატველობითაც განსხვავდება. მაშასადამე, ტოპონიმ "რუსთავი"-დან მართლაც "რუსთაველი" მიიღება, მაგრამ მეწოდება "რუსთველი" არავითარ შემთხვევაში და ეს უკანასკნელი ხელობის აღმნიშვნელი სიტყვიდან წარმოებული გვარია.

4. წეუფერებელი ფორმა "რუსთაველი" პირველად იხმარა ანტონ კათალიკოსმა /1720-1788/, რომელმაც შოთა ამაოდ დამაშურაღად მიიჩნია. მიუხედავად ამისა, 1841, 1860, 1867, 1875, 1883 წლებისა და სხვა გამოცემებში პოემის ავტორია "რუსთველი". ი.ამუღაძემ 1914 და 1926 წლის "ვეფხისტყაოსნის" თავფურცელზე "რუსთველი" დაწერა. სიღოვან ხუნდაძე იჩემებდა, რომ მგოსანი "რუსთველი" იყო და არა "რუსთაველი". 1937 წელს აღდგენილ ვახტანგისეულ "ვეფხისტყაოსანზეც" რუსთველი აკითხება.

5. ისეთი დიდი მეცნიერები, როგორიც იყვნენ აკ.შანიძე, კ.კეკელიძე, პ.ინგოროყვა, გ.წერეთელი პოეტს "რუსთველს" უწოდებდნენ. ანალოგიური ფორმითაა შესული შოთას "გვარი" IX კლასის /1963/ ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში.

6. როგორც ვიცით, საყოველთაოდ გავრცელებულია ტერმინები: რუსთველოლოგია, მერუსთველე, რუსთველისტი, რუსთველიანა. აკად. აკ.შანიძე დაკვამოდებით ებრძოდა დიდი მგოსნის ანთროპონიმად ქცეულ პროფესიულ მეწოდებით მიღებულ გვარის დამახინჯებას, რამდენიმე ნაშრომიც მიუძღვნა მას /სხვათა შორის ერთ აკად.აკ.შანიძესთან ერთად. იხ.

"კომუნისტი", 10.I.61/ და გულისწყრომით აღნიშნავდა: "ვეფხისტყაოსნის" ძველ ხელნაწერებში გარკვევით იკითხება: რუსთველი. ვის დავუჯეროთ, პოემის ავტორს თუ ანტონი კათალიკოზს? ანტონიმ ბევრი დაუშავა ქართულ სალიტერატურო ენას და, სხვათა შორის, ჩვენი უდიდესი პოეტის ვინაობის სახელის გადაბრუდებითაც" /იხ. V, თბილისი, 1986, გვ. 272/.

7. თანამედროვე რუსთველოლოგიურსა და ისტორიულ მეცნიერულ ლიტერატურაში დამტკიცებულია /მ.ლორთქიფანიძე, ნ.შოშიაშვილი, ლ.მუსხელიშვილი და სხვ./, რომ "რუსთველი" არაა მიღებული ტოპონიმ "რუსთავი"-დან; პოეტური მეტსახელი ონომასტიკონი ნაწარმოებია დარგობრივი მნიშვნელობის სემანტიკიდან. იგი მგოსნის პროფესიული მეწოდებაა და არა ნამდვილი გვარი, ისევე, როგორც სახელი "შოთა", რომელიც სემასიოლოგიურად "შოთებას", "შოთვას", "გაბრტყელება-გაბენვას" ნიშნავს და მელიორე-მთეგველთა /ოქრომჭედელთა/ მფარველი წარმართული ღვთაების სახელია.

"რუსთაველი" კი ნიშნავს ფიქრს "ვეფხისტყაოსნის" ავტორი წარმოშობით რომელიღაც რუსთავიდანაა და ტოპონიმის პერსონიფიცირებაა მომხდარი, რაც დიამეტრიულად ეწინააღმდეგება მეცნიერულად დადგენილ ჭეშმარიტებას, ანუ იმას, რომ "რუსთველი" მგოსნის პროფესიული მეწოდებაა. მაშასადამე, სწორია "რუსთველი", რომელიც რთული კომპოზიტია, იშლება 5 ნაწილად, - რუს-თ-ვ-ელ-ი", და მიღებულია ლითონის ტრუსვის, კეთრვის და გრამატიკულ ფორმად ქცეულ /ალ/ელ/ ვეფხვის ტერმინებიდან მრავლობითობის მაჩვენებელ "თ"-თანის" ჩართვით. კონკრეტულად, "რუს" მმწარი ძირ-ფუძეა "ტრუს"- ისა, რომლის თავკიდური "ტ"/ტარი/ ქართული ენის ბუნებამ პროფეტულად აქცია, გამოკვეთა ფუძიდან და დასტოვა "რუს"; "თ-თანი" მრავლობითობის მიმნიშნებელი ინფიქსია; "ვ" - ასო-ნიშანია, რომელიც "კუე"-ეს წარმოადგენს; "ელ/ალ" აღცეცხლის სახელიდან მიღებული პროფესიის წარმოებელი სუფიქსია, ხოლო "ი"/ინი/ სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ანალოგიური წარმონაქმნებია

"დურგალი", "მეინკალი", "მჭედელი", "მქანდაკებელი", "წუელხაცველი".

ძველი მინიატურების მდარე გარდამსახველ მაზუკა /მდივნისეული/ დავქარაშვილის ხელნაწერში /H - 599 /E/ პოემის ავტორად მოხსენებულია "რუსთ[illegible]ელი", ხოლო 1597 წლის გამოცემულ-ჯავახიშვილის მზითევის წიგნზე არის ხელწერა "რუსთველი" და არა "რუსთაველი".[23]

როგორც ცნობილია, "რუსთველი" ანუ "რუსთკუელი"-ს გეერკოკმპლექსი "კუ" XVI-XVIII საუკუნეებში "ვ"/ვინიო/ შეიცვალა ისე, როგორც "კერი-კვერი", "ხურტა-ხვრეტა", "საკვირველი-საკვირველი" და საბოლოოდ ჩამოყალიბდა "რუსთველი", რომელიც არაბულადაც კი "რუსტუალი" ანუ იგივე "რუსთუალი" ე.ი. "რუსთველი" იყო.

უკეთესი იქნებოდა და უფრო ღამაზად ჟღერდებოდა რუსთაველის პროსპექტისათვის "რუსთველის პროსპექტი" რომ გვეწოდებინა, ხოლო ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისათვის "რუსთველის სახელობის ინსტიტუტი". შოთას სახელობის პრემიას განა "რუსთველი" უფრო არ მოუხდებოდა, ვიდრე "რუსთაველი"? "შოთა რუსთველის პრემია" - მღერის, კეკლუცობს, კისკისებს ფორმითა და შინაარსითაც. "რუსთაველის პრემია" კი მხოლოდ იმას იუწყება, რომ "წარმოშობით რუსთაველი კაცის" სახელის მატარებელი პრემიაა. "რუსთ[illegible]ელი" გვაცნაურებს, რომ პოეტი ოქრომჭედლობის, ხაღვის, ტრუსვის, კუერვის, კაღვის, ფეგვის, ანთრაკის მოხელე-ოსტატი იყოო; "რუსთაველი" კი სადაურობას, რაც სწორიც რომ იყოს, არაფრის მთქმელია. მეფეთა და დიდ მოხელეთათვის დამგური ხელობა, მარგარობა და ტრუსხაღველობა თუ კაღვათეგველობა საპატიო საქმედ იყო მიჩნეული.

პროფ. პ.რატიანი ამტკიცებს /იხ. "ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი". თბ., 1987/მანდატურთუხუცესი ჭიაბერი /ანუ მუსტად "ჭუია-ბერი" ე.ი. "ჭუია-ბერი".ა.ც./ და შოთა რუსთველი იდენტური პირები არიანო.[¥] სხვათა შორის ამასვე ირწმუნებოდა სარგის კაკაბაძე და ჩვენც ამავე

---

23 შოთა რუსთაველი. ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული. 1966, გვ. 72-73.

¥ შოთა რუსთველის ვინაობა-სადაურობაზე დაწერილი გვაქვს 500-გვერდიანი ნაშრომი, რომლის დაბეჭდვასაც ვცდილობთ /ა.ც./.

მეორე სტრიქონის პირველი ასო შ(შანი)-ს
ფონში ჩინარი ძველი პალეოგრაფიული ფაქსიმილე







აგრისა ვართ. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ შოთა ნამდვილად ყოფილა ღითონის "მწვეული ბერი", ხოლო თუ "ბერი" ძეს, იგიეე შვიღს ნიშნავს, მაშინ შოთა "ჭუია" /მეგრულად/ ანუ "წუია" კაცის შვიღი ყოფილა. "ვეფხისტყაოსანში" ტარიელი მამამისზე უყვება ავთანდილს "ხალვა მოსტუღდა, შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები". მეორე ადგილზე ფატმანი უყვება ნესტანის მაძიებელ ავთანდილს ნესტან-დარეჯანი მოკაზმულ სახლში დავსვი და "ერთი ბანგი ვამსახურე, მე შევიდი, ვნახი ხალვით". აქ "ხალვა" და "ხალვით" მარტოობას კი არ ნიშნავს /ასე რომ იყოს შოთა დასწერდა "ხალვა მოსწყინდა"-ო/, არამედ პეტალის ანუ ღითონის ფოლგის ხალვა-ტრუსივით და ბეჭვით დამუშავებაზე მიუთითებს.

როგორადაც არ უნდა იყოს, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით მტკიცედ გვწამს, რომ შოთა რუსთველი ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად მარჯვა იყო მარქაში, მხატვარი, ოქრომჭედელი, მთეგავი და ხუროთმოძღვარიც. რადგან მგოსანი მოხუცებულობაში ბეჭურჭლეობუხუცესიც იყო, "რუსთველი" მისთვის პროფესიიდან გამომდინარე ბედნიერება, გვარად ქცეული ტიტულიარული ბედსახელია. ამიტომ "ვეფხისტყაოსნის" ავტორის გვარიდან ნაწარმოებ ახალ სიტყვებს უმჯობესია თუ "რუსთველი" დაედება საფუძვლად; ან არადა, მგოსნის გვარად ქცეული "რუსთველი"-ს ანგონ კათალიკოსისეულ დამახინჯებულ "რუსთაველს" უნდა ვერწმუნოთ. ანგონმა კი ქუთაისში მსახურებისას კალმითაც სცადა ბიანი და ჩრდილი მიეყენებინა სულმნათ შოთასთვის. ეს თითქოს უბრალო საქმე, ერთი შეხედვითაც არ არის უბრალო და დიდი საბრიანი შორსმჭვრეტელობით უნდა გადაწყდეს. მართლაც და ხომ უნდა დადგინდეს ვის დავუარსეთ საგოგადოება "რუსთველს" თუ "რუსთაველს"? განა არ უნდა დავაბუსტოთ შოთა "რუსთველი" იყო თუ "რუსთაველი"? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვიცოდეთ ვინ შეიბრძა "ვეფხისტყაოსანი" "რუსთველმა" თუ "რუსთაველმა"? ეს საჭირბოროტო და პრინციპული საკითხი "რუსთაველის საგოგადოების" დამფუძნებელმა კონფერენციამ გონივრულად ვერ გადაჭრა.

მაშ ასე, "შოთა რუსთველის საგოგადოება" უნდა იყოს თუ "შოთა

რუსთაველის საზოგადოება"? ვწეროთ "რუსთველი" თუ "რუსთაველი"?*

ამგვარად, უდავო ჭეშმარიტებაა, რომ გელათის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ ეკუდერში კუნჭულსა და სქემაში გამოსახული მავედრებელი ბერი მეფე დავით ნარინი არ არის. ზემორე კვლევა-ძიებით, წარწერების ამოშიფვრით, წაკითხვით, სახეების შედარებით და ისტორიული ფაქტების შეჯერებით ვრწმუნდებით, რომ ბერის პორტრეტში შთა რუსთველია განსახიერებული. მისი სახის წინა წარწერის მთლიანად ამოკითხვა და გარჩევა, მასზე მსჯელობა თუ პაექრობა, მომავლის საქმეა. ქართული კულტურის ისტორიიდან გამომდინარე, თამამად ვასკვნით: პარადოქსი იქნებოდა შთა რუსთველის ფრესკა სადრო რომ არ აღმოჩენილიყო საქართველოში, დღეთუ ტიტანური შემარყევების სახელმწიფო მოღვაწისა და მგოსნის ძველ სახვით ხელოვნებიდან წარხოცვა წარმოუდგენელი, დაუჯერებელი და შეუძლებელია, მითუმეტეს, რომ ახლად მოძიებულ-მოპოვებული და ჩვენს ხელთ არსებული მასალები ადასტურებენ მის ბერობას, მოძღვართ-მოძღვრობას, პატრონთა საფლავის მწირველობას, დიდ სასულიერო ჩინოსნობას, რასაც შეედგომ რუდუნებით გამოკვეთილს წარვუდგენთ მკითხველს.

მკრეხელთა ცოდვების მიუხედავად, ჭეშმარიტება იფურცლება ფოლიანტებად. მომავალი კვლევა-ძიება ახალ ალმოჩენებს გვპირდება; რუსთველის შთამბეჭდავი პორტრეტები სხვაგანაცაა შენილული და თუ გულმა იგრძნა, კიდევ რამდენიმეს გამოვაჩენთ. არის საამისო საფუძვლიანი სიმპტომები და სერიოზული მონაცემები.

ამრიგად, გელათის ტაძარში მეფე დავით ნარინის ბერობის ფრესკა თუ შთა რუსთველის პორტრეტი? ჩვენ, მტკიცე კვლევა-ძიებით დავრწმუნდით, რომ გელათის ცენტრალური ტაძრის სამხრეთ-ალმოსავლეთის ეკუდერში "ვეფხისტყაოსნის" ავტორის სხივმოსილი სახეებაა. მივხედოთ, მოვუაროთ,

---

* ამ პრობლემატური საკითხისადმია მიძღვნილი, აგრეთვე, საინტერესო ინტერვიუ პროფ. ლევან მენაბდისა. იხ. ნ.გვასალია. ყველაფერი რუსთაველის შესახებ. "თბილისი", 3.XI.88.

მივესაფარით და გავიგავისით ეს ძვირფასი ეროვნული ძიებული საუნჯეც, ვაქციოთ იგი ქართული კულტურის მოტრფიალეთა თაყვანსაცემ წმინდა ადგილად.

კლისებსკისა პრიზები

წინამდებარე ნაწერობის ეს ნაკვეთი, რომელიც გელათში შოთა რუსთველის ფრესკის წარმოჩენას შეეხება, გამოსაქვეყნებლად წარვუდგინეთ ჟურ. "დროშა"-ს. იგი დასკვნისთვის გადასცეს არქიტექტურათმცოდნეობის დოქტორს, რომელმაც რედაქტორს უპასუხა:

"პატივცემული ამხ. ხუტა!

გავეცანი ამხ. ა.ცამციშვილის წერილს "ფრესკაზეა შოთა რუსთაველი თუ დავით ნარინი". ავტორი თავისი დებულების დასამტკიცებლად ეყრდნობა ისტორიული საბუთების მონაცემებს და ფოტო-სურათების მარჩენებლებს, რომელიც მან, როგორც წერს, თვითონ მოიძია.

ისტორიული ნაწილის შესახებ სიტყვა, ალბად, ისტორიკოსს ეკუთვნის, ხოლო ავტორის მიერ დამუშავებულ ფოტო-სურათებზე ახალი წარწერების შესახებ ამჩნს ფოტოსპეციალისტისაგან უნდა ველოდოთ.

რ.მეფისაშვილი" ¥

III. 84 წ.

ამ აბრუნდი წერილით კულტურის სამინისტროს რამდენჯერმე ვეწვიე, გულისხმიერი ნუშაკები ავაჟორიაქე, გელათს ბარე 10-ჯერ ვესტუმრე, ერთხელ გიგენდრიჟთან, იაკობაშვილთან და კუპრავასთან ერთად და ზეთით აღწერილის შესახებ სტატია სამინისტროს და პის ჟურ. "საბჭოთა ხელოვნებას" წარვუდგინე. მინისტრმა და რედაქტორმა იგი გადაგზავნა განსახილველად ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, სადაც რ.მეფისაშვილი

¥ დედანი დაცულია ჩვენს პირად არქივში.

მუშაობდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის
დირექტორს, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელმა ამირან ცამციშვილმა 1983 წელს კულტურის სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი გელათის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის არსებობაზე.

ჩვენი განკარგულებით იმავე წელს შედგა სამეცნიერო ექსპედიცია სამინისტროს კონსულტანტ ვახტანგ კუპრავას და ფოტოსპეციალისტის ი. გიდგენდორფის მონაწილეობით; გადაღებულია რამდენიმე სააყურადღებო და ანგარიშგასაწევი ფოტოსურათი ულტრაისფერი სხივებით, რომელთა მონაცემები გამოკვლეულია ა.ცამციშვილის მიერ.

მოპოვებული ფოტომასალის და ისტორიული მონაცემების საფუძველზე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა.ცამციშვილმა ჩვენთან და ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნება"-ში წარმოადგინა 12-გვერდიანი ნაშრომი დოკუმენტური ფოტო-ილუსტრაციებით, რომლებითაც გელათის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის არსებობას ადასტურებს.

გიგზავნით რა ა.ცამციშვილის ნაშრომს /ილუსტრაციებით/, რომლის გამოქვეყნებაც განზრახული გვაქვს, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი დასკვნა კომენტარის სახით, რომელიც სტატიას თან დაერთვება" /საბუთი ხელმოწერილია მინისტრისა და ჟურნალის რედაქტორის მიერ/.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ წყვეტდნენ ჩვენი ეროვნული კულტურის საშუა და ლირსშესანიშნავ საკითხს ზოგიერთი დილეტანტოვანნი, ვიმოუშვებთ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან 27.V.85 წ. № 14 კულტურის მინისტრის სახელზე გამოგზავნილ საბუთს:

"ა.ცამციშვილის ნარკვევს გელათის მხატვრობაში შოთა რუსთაველის

პორტრეტის არსებობის შესახებ მე რამე კომენტარებს ვერ დავურთავ. რამდენადაც მე შვიდთან ვიცნობ ძეგლს, გამოქვეყნდება ავტორის დებულებები გავიზიარო.

ინსტიტუტის დირექტორი აკად. ვახტანგ ბერიძე".

ორ უწყებისაწინააღმდეგო წინადადებიანი და ამგვარად ამგვარი დოკტორალური პასუხი კულტურის სამინისტროს და ჟურ. "საბჭოთა ხელოვნებას" /რედაქტორი ნოდარ გურაბანიძე/ ჩუმად ჩაყლაპეს, ჩვენ კი მეცნიერული კრიტიკის და ახალი სიტყვის დამთრგუნველ მატ. ვ.ბერიძეს საკადრისი მოკლე პასუხი მივუგეთ:

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს
ჟურ."საბჭოთა ხელოვნების" მთავარ რედაქტორს

თქვენთან გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილ ჩემს ნაშრომზე და თქვენს 27.3.85 N 013/1069-1 საქმიან წერილზე მატ. ვ.ბერიძის დოკტორალური რეპლიკა, ჩვენდამი უპატივცემულობის გარდა, აკადემიკოსის ენობრივი /"რამე კომენტარებს"/ და თეორიული ცოდნის ისეთივე ნიმუშია, როგორიც მისი თანამშრომლის რ.მეფისაშვილის თანდართული წერილი. ამასთანავე, ორწინადადებიანი ნიჭიერისტური პასუხი, რომელსაც ორ თვეს მოუნდა მატ. დირექტორი, ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ერთმანეთს აბაილებს: თუ არ ძალუძს და რამე კომენტარს ვერ დაურთავს ჩემს ნაშრომს, რაშინ რატომღა დასძენს ავტორის დებულებების გაზიარება გამიძნელდებაო?! ეს ბერეკე, მშრალი და დაუსაბუთებელი რეპლიკა განა კომენტარი არაა?!

მატ. აკადემიკოსს ცოტა მეტი ტაქტი და ყადრი მართებს, ისეთი არასერიოზული "პასუხი", როგორიც მატ. ბერიძისაა, მეცნიერს არ ეკადრება.

უპირველესად გთხოვთ, ჩემი ნაშრომი ამ წერილთან ერთად, უკან დაუბრუნოთ მატ. ვ.ბერიძეს და მოსთხოვოთ მისი შესაფერისი ნორმალური პასუხი. კატეგორიულად მოვითხოვ მატ. აკადემიკოსმა, თუ ის მართლა

მეცნიერია, საფუძვლიანი განხილვით წერილობით დაგვისაბუთოს რომელი დებულების გაბიარება უმეტობს და რატომ.

ამ წერილს თან ვურთავთ ნაშრომს და ილუსტრაციებს.

პატივისცემით ა.ცამციშვილი".

ამ ბუნებრივი გულისწყრომით შედგენილი წერილის გამო წინამდებარე ნაშრომის ერთი ვარიანტი დაიბეჭდა ჟურ. "საბჭოთა ხელოვნებას" რედაქციაში, რომლის რედკოლეგიის წევრი იყო არქიტექტორი ბატ. ვ.ბერიძე. სხვა გზებიც ჩაიერგეს! რა მოხდა მერე? იკითხავს. იქნებ, გულისხმიერი ყველა მკითხველი. ჩვენთვის არაფერი, მაგრამ რ.მეფისაშვილის და მასზედ ბრძად მინდობილი ბ.ლომინაძის მცდარმა ფრაზებმა ნელინელ ფეხი მოკიდეს პოპულარულ ლიტერატურაში, დომის სახე მიიღეს და ქართის ქრესტომათიული ჭეშმარიტება მოიხვეჭეს ყველა იმ კალმოსნის კომპილაციებში, რომლებიც ბეტ-ნაკლები სიღრმე-სიფართით შეეხნენ გეგეთის ნატიფ კულტურულ მემკვიდრეობას.

ქართული კულტურის ისტორიით და რუსთველოლოგიით დაინტერესებული საზოგადოებისათვის ეს რაოდენ საბიანია მოჩვენებითი მედიდური ავტორიტეტი, მიუკერძოებელმა მკითხველმა განსაჯოს პირუთვნელად, სათანადო ორგანიზაციებმა კი დროულად განიკითხონ განხილული სერიოზული პრინციპული საკითხი. რამეთუ ჟამთა სიავეს გადარჩენილი შოთა რუსთველის ფრესკა გელათში კარგა ხანია მძრუნველ ხელს და მფარველს მიელის: სანამ მთლად არ წარხოცილა მივხედოთ ფრესკას!

უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა-ძიების დასრულების და ნაშრომთა გამოქვეყნების, ანუ 1962 წლის შემდეგ, განსაკუთრებით, როდესაც აკადემიკოსებმა აკაკი შანიძემ, გიორგი წერეთელმა და ირაკლი აბაშიძემ იერუსალიმიდან ჩამოტანილი რუსთველის ფრესკის ფოტორეპროდუქცია გამოაქვეყნეს, - სერიოზულად და დიდი რუდუნებით შეუდგები უკვდავი მგოსნის პორტრეტული გამოსახულების, აგრეთვე ვინაობის ძიებას არსებული მეცნიერული ლიტერატურის საფუძველ-

ზე, ჭედური ხელოვნების, კედლის მონუმენტური მხატვრობის და ხელნაწერთა მოშვენიებით, რადგან გვჯეროდა, რომ შორეში ჟუ მოიხატა "ვეფხისტყაოსნის" ავტორის სახე, სამშობლოშიც უფუფუ უნდა ყოფილიყო გამოსახული გენიალური მწიგნობარ-მხატვრები. საამისოდ საფუძვლიანად გამოვიკვლიეთ და დეტალურად შევისწავლეთ ქარფული, ბიზანტიური, რუსული და ბულგარული ხატები, ფრესკები, მინიატურები, ღაჭიდარული წარწერები და სხვ.

დიდი დრო და ენერგია დასჭირდა ბულგარეთის პეტრიწონ-ბაჩკოვის და მოიანას ფრესკების გამოკვლევას, ბიზანტიური ოქრომჭედლობის შესწავლას და რუსული ხელოვნების ცივილიზაციებში შემონახულ ჩვენი ხის საყურადღებო მასალების ძებნა-დამუშავებას. ფრიად ნაყოფიერი გამოდგა მოსკოვის კრემლის მუზეუმსა და ტრეტიაკოვის გალერეის "ოქროს" ფონდში მუშაობა, სადაც მანქარ მოიამაბელის ფრესკაც კი აღმოჩნდა. იმედი გაგვიმართლა ლენინგრადის ერმიტაჟის რარიტეტ-სარდაფმა, "რუსული მუზეუმის" და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფილიალმაც, მაგრამ ყველაზე უძვირფასესი და უნიკალური ისტორიული მასალები შოთა რუსთველის პორტრეტსა და ვინაობაზეც საქართველოში ვეძიეთ და ხუროთმოძღვრული ძეგლების ფრესკებიდან, წარწერებიდან, ჩუქურთმებიდან, ბარელიეფებიდან და ქარფული ოქრომჭედლობიდან მივიღეთ. მოგი რამ გვაუწყა ქარფულმა ხელნაწერებმა, ღაჭიდარიებმა, არქეოლოგიურმა მასალამ და მინიატურებმაც; ვაღში არ დარჩენილა ქარფული სამარხის ძეგლები და ცხადია, ძველი მწერლობა, აღაპები და აგიოგრაფიული ლიტერატურაც.

ქუთაისში ვიზრდებოდი და მავშვობიდანვე გელათის ხშირი სტუმარი ვიყავ. გრანდიოზული მონასტერი ჩემთვის მაღე თაყვანსაცემ კერპად იქცა. სტუდენტობისას ყოველწლიურად ვნახულობდი, ვეცნობოდი, ვაკვირდებოდი ტაძრის ლირსშესანიშნაობას, ჩუქურთმაში ამღერებული ერის დიდებას, საამაყო წინაპრობა საბიერებას. ვსწავლობდი გელათის ისტორიას, ხელოვნებას, ძეგლებს, არქიტექტურას, ხახულის ხატს, ნეკროპოლს,

შემოგარენს. ბედმა გამოლმა, მივაკვლიე იოან-შოთა რუსთველის საფლავის ქვის ნახევარს, იოან მანდატურთუხუცეს ჭყონა-ბერის ქანდაკ-მარეღიეფს, ქვის ფიცას რუსთველის სახელის წარწერით და სხვ.

ცნობილია, რომ ნეტარხსენებული ექვთიმე თაყაიშვილი თამარის საფლავს გელათის სამხრეთ-აღმოსავლეთ, იოანესეულ ეკუდარში ეძებდა, იქ, სადაც ძველი წესისამებრ, წმიდანად შერაცხულ მეფეს ყოველწლიურად პარაკლისს უხდიდნენ. იოანეს, თამარის და დავით-ნარინის სახელის მატარებელი ეკუდერის გათხრისას ექვთიმე ხელმოცარული დარჩა, დაღათუ თამარის და მის გვერდით სამარიდან ამოკრეფილი ძვლები საქართველოს ეკლესიებს ჰქონდათ განაწილებული, როგორც წმინდანთა რელიქვიები; მაძიებელს კი ხელში შერჩა *1721-1752* წლების ქართლის მეფის აღექსანდრე */V/* გიორგის ძისა და ბეჟან დადიანის ასულის მარიამ დედოფლის ნეშტი.

რუსთველის ფრესკის ძიება ეკუდერის სახელწოდებამაც განაპირობა, ვით უმეტეს, რომ თამარის და შოთას გათიშვა ჩემთვის უკვე წარმოუდგენელი იყო, პოეტის ნამდვილი სახელი იოანე კი კარგად ცნობილი. ტრადიციამ გაამარდა, თავისი ჰქმნა და ჩემი ყურადღებაც, სამცხის ძეგლებს გარდა, გელათის, იოან-თამარისეულად წოდებულმა ეკუდერმა მიიპყრო. ძიება და აღმოჩენა, აღბათ, უფრო გაძნელდებოდა შესანიშნავ ფოტოგრაფებს დერენტენკოსა და გიგილაშვილს საუცხო ფოტოალბომი რომ არ დაებეჭდათ გელათზე გამომცემლობა "ხელოვნებაში". ცხელ კვალს მივდევ წიქნვდომილი ცნობის წადილით და დაუყოვნებლივ კვლავ ვეწვიე გელათს უღრანისფერი სხივების პორტატული აპარატით. მთელი სამი დღე და ღამე ვიმუშავე. საბედნიეროდ მტკიცედ დავრწმუნდი, რომ იოან-თამარისეულ ეკუდერის კედლის შვიდსაუკუნოვანი სილმიდან შავწარმებგადარკალული და სიბრძნე დავანებული ნუშისებრი დიდ-გიშერთვალა შავგვრემანი შოთა მიმზერდა თავისი მარადიული პოეზიით, კოპწია ღეჭსის ტურფა მშვენებით და ბრძნული სათნოების რუსთველისეული განსახიერებით.

მყის გამოვეშურე თბილისისკენ და როგორც მემოთ აღვნიშნეთ, უმალ

კულტურის მინისტრს მივმართე თხოვნით - ტექნიკური მეთოდით ფრესკის დამუშავებაში დამხმარებოდა. დაუყოვნებლივ მომამაგრეს ამ საქმის ცნობილი სპეციალისტი იგორ გიღგენდორფი ასისტენტიშურით და სამინისტროს კონსულტანტი ვახტანგ კუპრავა. 1984 წლის 19 ივნისს 3 დღით ვეწვიეთ გელათს აპარატურით აღჭურვილი ავტობუსით, სასწაულებრივ შემორჩენილი ფრესკის ულტრაისფერი სხივებით და რენტგენით გადაღებისათვის. მოპოვებული მასალა პალეოგრაფიული სრულყოფილებით დეტალურად დავამუშავე, დავაზუსტე, გამოვიკვლიე და ისტორიული მონაცემების ფონზე უპრეტენზიო პატარა ნომათად ჩამოვაყალიბე 16 გვერდზე, მაგრამ თავსატეხი და შავადდამქანცველი სამუშაო ისე არ გამჭირვებია, როგორც სტატიის გამოკვეყნება ხსენებულ "სპეციალისტის" ცბიერი "ავტორიტეტული" ხრიკების გამო, აგრეთვე მოგიერთი უგერგილო თუ უგბილმეტყველი რედაქტორის მიზეზით.

გელათის მონასტერში რუსთველის ფრესკის აღმოჩენის პირველი მაცნე იყო 1985 წლის 2 აგვისტოს გამოთი "ქუთაისი". 1987 წელს კი ჟურნალ "სოვეტსკი მუზეი"-ს ბოლო /მეექვსე/ ნომერში გამოვაქვეყნე კარგად იღუსტრირებული პატარა ნაშრომი და საბჭოთა კავშირის ხალხებს ვაუწყე ქართველი ერის გენიალური პოეტის პორტრეტის აღმოჩენა, ანუ "ვეფხისტყაოსნის" ავტორის მეორე დაბადება სახიერებით.

გელათის მონასტრის ცენტრალური ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის იოანე და თამარისეული ეკუდერში შენდობის პოზით, ანუ ისე როგორც იქ-რუსაღების ქართველთა ჯვრის მონასტერში, მოხატულია ბერის სქემაში და თავზე კუნკული გამოწყობილი ჭარბაკი მოძღვარი მოძღვარი, რომლის წარწერა დაღადებს, რომ ფრესკაზეა იოანე/შოთა რუსთველი//რუსთველი.

ეს პატარა ისტორია ქართული კულტურის გულშემატკივარ საზოგადოებას წარმოვუდგინეთ განსასჯელად, განსახილველად. ანალოგიური შემთხვევა გვხვდება სამეხისა და ქართლის ძეგლებზეც, მაგრამ... ჯერხნობით შოთას სხივნაფერი გელათური ფრესკით დავკმაყოფილდეთ, შეუტკბოთ

და შევიტყვოთ იგი ისე, რომ იოანე-ოძმარისეული პატარა სენაკი ოძმარისა და მის მეხოტბე შოთა რუსთველის დიდებულ სავანედ გადავაქციოთ. დანარჩენ შარავანდმოსილი ფრესკების ბედ-იღბალს მხოლოდ შემდგომში სიტუაცია და ჩვენი გაწყობილება გადაწყვეტს.

ჟურნ. "სოვეტსკი მუზეი"-ს მეექვსე ნომერში ჩემი იღუსტრირებული სტატიის გამოქვეყნების ორი თვის შემდეგ, გაზ. "ლიტერატურული საქართველო" /5.II.88, № 6/ გადაუმოწმებლად ადგილს უთმობს გულუბრყვილო, მაგრამ შეურაცხმყოფელ, მყვირალასაოაურიან სტატიას: "არ დაუჯერო, მცდარია". მისი ავტორია გაზ. "ქუთაისში" /2.VIII.85/ და ხსენებულ რუსულ ჟურნალში ჩემ მიერ მეცნიერულად გაკრიტიკებული, წინამდებარე ნაშრომიო კი საბოლოოდ ნამხეღ-გამტყუნებული, დოქტორი რუსუდან მეფისაშვილი, რომელიც ჩემოო მოტანილ *III. 84* წელის საკუთარი ხელით ნაწერ ბარათში ჟურნ. "დროშის" რედაქტორ ხ.ბერულავას არწმუნებდა: "ავტორი /ე.ი. მე, ა.ც./ ოაკისი ქ.ბუღების დასამტკიცებლად ეყრდნობა ისტორიული საბუთების მონაცემებს და ფოტოსურათების მაჩვენებლებს, რომელიც /? ა.ც./ მან, როგორც წერს, ოვითონ მოიძია" და "ისტორიული ნაწილის შესახებ სიტყვა, აღბათ, ისტორიკოსს ეკუთვნის".

ქ-ნი რუსუდანი ზოგ სხვა გარუჯვიტელობასთან ერთად უპრინციპოდ ყოფილა, რადგან, ჯერ ერთი, თუ მე ჩემი დებულებების დასამტკიცებლად ისტორიულ საბუთებს და იღუსტრაციულ მაჩვენებლებს ვეყრდნობი *1984* წელს "დროშა"-ში წარდგენილ სტატიაში, დღეს, უფრო ვრცელად წარმოდგენილი იგივე ისტორიული მასალა საბუთი არაა? რაო მეკიცხევება ეს შარიანი დავაქარი? მეორეც, ისტორიულ ნაწილზე სიტყვა თუ ისტორიკოსს ეკუთვნის, რაღას ერევა არქიტექტორი ბაიოწვიღივიო გამოძერწილ ისტორიაში და აქარწყლებს საკუთარ მოსაზრებას ამჯერად?! რატომ კადრულობს იგი ადრე ნათქვამის განიოწყლებას და უპრინციპობიო იგვემს თავს? რა მიზნით, ვისთვის ან რისთვის წვალობს დილეტანტურად, ებმება ისტორიკოსის საქმეში და წერს სრულიად შეუფერებელ პერტურბაციებს თავის საგაზეთო რუბრიკაში?!

1951 და მომდევნო წლებში დაშვებული შეცდომების და ტიპიჭის 40 წლის გასვლის შემდეგ რ.მეფისაშვილს მორალური უფლებაც არ ჰქონდა ჩვენს ნარკვევზე რაიმე აზრის გამოქმის, მით უმეტეს გაზეთის მკითხველისათვის ღიტონი სიტყვებით მოეხოდებინა "არ დაუჯეროთ, მცდარია"-ო, რადგან საქართველოს XIII საუკუნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩახედული ისტორიკოსისათვის კარგადაა ცნობილი, რომ სწორედ არქიტექტორ მეფისაშვილის პლანშეტით, "რულეტით" და ფანქრით შექმნილია წუნდებული პროექტია გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთ ეკუდერის მონუმენტურ მხატვრობაზე, იქ გამოსახულ პირებზე. არქიტექტორის ტექნიკურ აღწერილობებში ისტორიული ატრიბუტის უმეტეს ნაწილს მხრის სუნი სდის, ველარ ვენდობით და ახლა მაკულატურაზე უარესია კონიუნქტურის სიყვარების გამო, რომელსაც პირდაპირ ფიასკომდე მიჰყავს გაწიწმატებული პატივმოყვარე რეპლიკის ავტორი.

არსებული ტრადიციული მეცნიერული მეთოდითა და ეთიკით კვლევა-ძიებისას არქიტექტორიც უალრესად დიდი პასუხისმგებლობით უნდა იყოს გამსჭვალული თემის, საკითხისა და მკითხველისადმიც. მიუტევებელი ბოროტებაა, როცა მაძიებელი სათუო-საეგებისო მოსაზრებებით, ვარაუდებზე აგებული ფანტაზიით ცდილობს საზოგადოების აბურდ აგდებას, მკითხველის გაბრიყვებას, გასულელებას. რატომ გონია რ.მეფისაშვილს, რომ მკითხველი, დაინტერესებული საზოგადოება და სპეციალისტები ყველა მის ვარაუდებს უყოყმანოდ დაიჯერებენ და გაიზიარებენ? იმიტომ ხომ არა, რომ იგი დოქტორის დიპლომს ფლობს? მე მემოო ვრცელი ისტორიულ-დოკუმენტალური მიმოხილვა წარმოვადგინე, ბევრი საგულისხმო და საჭარბედო არგუმენტი მოვიყვანე, დავიმოწმე, საბუთები თუ იუსტრაციები მოვიშველიე, მაგრამ კატეგორიული მსჯელობები ვერსის სახით წარმოვაჩინე და არა ისე, უცერემონიოდ, დიდი რიხით რომ სჩადის მეფისაშვილი. იგი ღიტონი სიტყვებით ჩაგვიცინია "არ დაუჯეროთ"-ო და უცნაური ფანტაზიით შეზავებულ, საძღვისოდ მოძველებულ საკენკს და აშმორებულ წვენს გვთავაზობს. ბადღობა უფალს, რომ მკითხველის გემოვნება

და ცოდნის დონე ერთიანად გაიზარდა, უყუათო საზრდოს ალარავინ ეწა-ფება, ყავც გასულ მეწუხს ახლოს ალარ ეკარება და ახალი კონიუნქტუ-რის შესაფერ სულიერ საკვებს ითხოვს.

პრობლემატური დებულებების ეგებისთვის მტკიცება წყლის კოდვა უფრო, ვიდრე მეცნიერება. უბრისა და უმეცარსაც ალარ სჯერა დღეს მშრალი ღიზუნგების და მყივანა დეკლარაციული განცხადების, შიშვე-ლი ფრაზებისა და მაცდური აღთქმის. საჭიროა მტკიცე საბუთიანობა, ფაქტები, ისტორიული წყაროები, იღუსტრაციები და მათი ღრმა მეცნიე-რული ანალიზები, შეპირისპირება, შეჯერება და არა ამბიციები. ამ და მთლიო აღნიშნულ სხვა მევრ /"ფოტოსურათებზე ახალი წარწერების შესახებ ამჩრს ფოტოსპეციალისტისგან უნდა ვეღიდოთ"-ო/ ტვირის საფყ-ლეტი პარადოქსების მიუხედავად, - სრული მთაბეჭდილების შესაქმნელად, - მომყავს უცნაურად შეშლილი ეპისტოლე, რომელიც "ლიტ.საქართველოს" განუსჯელად გამოაქვეყნა და დათვური სამსახური გაუწია გენიალური მგოსნის ბრწყინვალე გელათურ სახებას. განუკითხაობით გათამამებული სტატიის ავტორი მუსტად უცვლელად ქადაგებს ასე:

არ დაუჯეროთ, მცდარია!

ჟურნალ Советский музей" -ში 1987 წლის მე-6 ნომერში გა-მოქვეყნდა ამირან ცამციშვილის წერილი "Портрет Шота Руставели? წერილი ეხება გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთის ეკვდერში, სამხრეთ= დასავლეთის კუთხის, სამხრეთის კედელზე, ბერის სამოსელში შემოსილ მამაკაცის წელსმევით გამოსახულებას. ამ პორტრეტს ახლავს წარწერა, შესრულებული ძველი ქართული, ასომთავრული დამწერლობით: "მეფე დო ძე რუსუდნი", რაც ქარაგმების გახსნით ასე წაიკითხება: "მეფე და-ვით ძე რუსუდანისი". წარწერა გვამცნობს, რომ აქ გამოსახულია მეფე დავით VI ნარინი და იგი ეჭვს გარეშე ხდის იმასაც, რომ მეფე გელათის

მონასტერში ბერად იყო შემდგარი. ისტორიულმა საბუთებმა ეს ცნობა არ შეინარჩუნა. ამირან ცამციშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბერად შეღგომის შემდეგ დავითს სხვა სახელი უნდა მიეღო და სწორედ ეს უკანასკნელი უნდა ახლდეს პორტრეტს, როგორც ეს საყოველთაოდ მიღებული იყო ქრისტიანულ სამყაროში. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საქართველოში არ იყო ყოველთვის სავალდებულო, რასაც გელათის გარდა ბეთანიის ეკლესიის სამხრეთის კედელზე დაცული, ავრეთვე ბერად შემოსილი გამოსახულების წარწერა "მანდატური უხუცესი სუმბატ ძიდი" გვიდასტურებს.

ა.ცამციშვილმა ეჭვი მიიტანა გელათის დავითის წარწერის სისწორეში და ამ წარწერის დასაბუსტებლად 1984 წელს საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ფიზიკო-ოპტიკური კვლევის სექტორის გამგესთან ი.გიღგენდორფთან ერთად გაემგზავრა გელათში. წარწერის ფოტო გადაღებულ იქნა ულტრაიისფერი ღუმინესტენციით. იგორ გიღგენდორფმა დღეს ხელმისაწვდომად მოგვაწოდა გადაღებული წარწერის ანაბეჭდი. ამ სურათზე აშკარად ჩანს, რომ ჩვენს მიერ ადგილზე ამოკითხულ წარწერასა და გიღგენდორფის სურათზე გამოსახულ წარწერას შორის არსებითი სხვაობა არ არის და არც დამატებულია რაიმე. მაგრამ ა.ცამციშვილს უნდა აქ "შოთა რუსთაველი ამოკითხოს". ამისათვის ის ხელისებურ ხერხს მიმართავს: "დო" ასოების მონაცემში, რომელიც ადგილზე მკვეთრად იკითხება, ავტორი დამატებით ხაზებს პოულობს, ადგენს ახალ ასოებს /ძნელია დაღგენა რომელი ენის დამწერლობას ეკუთვნის ეს ახალი ასოები/ და გამოჰყავს სახელი "შოთა". ამის შემდეგ ავტორი ე.წ. ენათმეცნიერული ვარჯიშის შედეგად რუსუდანის მაგიერ კითხულობს რუსთაველს? და ასკვნის: ამრიგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გელათის ფრესკაზე გამოსახულია შოთა რუსთაველი 213-223წწ. ეს უკანასკნელი ცნობა ავრეთვე უსაფუძვლოა.

ამრიგად, ამირან ცამციშვილის მცდელობა უარეყო გელათში დავით VI ნარინის პორტრეტის არსებობა და მის მაგიერ აქ შოთა რუსთაველის

პორტრეტი წარმოგვედგინა, მხოლოდ და მხოლოდ ავტორის სურვილია, მოკლებული ყოველგვარ საფუძველს. საინტერესოა, რომ ჟურნალი - " Советский Музей", რომლის ყოველი ცნობა სიზუსტეს მხოლოობს, შეუმოწმებლად აქვეყნებს მისთვის სრულიად უცნობ, ესოდენ მცდარ მასალას.

რადგან დავით ნარინის გამოსახულებაზე გვაქვს ღაპარაკი, მკითხველისათვის საინტერესო იქნება დავუმატოთ, რომ ეკვდერის ამავე კუთხეში, მის დასავლეთის კედელზე დაცულია მეორე პორტრეტი, რომლის წარწერა აგრეთვე იხსენიებს მეფე დავითს ძეს რუსუდანისას. ამ გამოსახულებაზე დავითი მეფურ ტანისამოსშია წარმოდგენილი. იგი ახალგაზრდაა, მაღალი ტიპი და ასეთივე წვერულვაშიც, ბერად აღკვეცილს თმა და წვერულვაში თეთრი აქვს და სახეს ნაოჭები სერავს. ამ ორი პორტრეტის ღირსება იმაშიაც გამოიხატება, რომ მათ შორის პორტრეტულ მსგავსებას ვხედავთ და ისიც შეიგრძნობა, რომ ბერად გამოსახული, ალ შეიძლება ასე იფიქრას, უფრო ცოცხალ ასის გადმოცემული. ეს ორი პორტრეტი /დაახლოებით 1290-1293 წწ./ შუასაუკუნეობრივი კედლის მხატვრობის უნიკალურ ნიმუშებად გვევლინება.

რუსუდან მეფისაშვილი".

თავდაპირველად ასეთშიც არ მომსვლია მეცნიერულად გაწბილებული, მაშასადამე გამხნევებული არქიტექტორის უსუსური პასუხი, რამეთუ ლაპარაკიანი და ფუჭად ნაგრევი შეგონების გაცნობისთანავე დავრწმუნდი, რომ იგი მუმლს უფრო ჰგავდა და ჭეშმარიტებას ვერას აკლებდა ღიტონი სიტყვებით. მხოლოდ მყივანა საათურმა გვატკინა გული და შურიან ურწმუნოს მწვიტინა ენამ მცირედ დამგესლა. დიდხანს ვიყურებოდი, მაგრამ დუმილი ხომ მორჩილებას და თანხმობას ნიშნავს, მაშასადამე შოთა რუსთველის უნიკალური ფრესკის დაღუპვას და ... უფროს მეცნიერი კოლეგების გონივრული რჩევით უბირი ეხის გაბათილება გადავწყვიტე ლა წერილით, რომელიც გამეო "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციაში "მწვანე მაუდის ქვეშ ამოსდეს" დასამწნილებლად, მიუხედავად იმისა, რომ 1988 წლის 7 მაისს სკკპ ცკ-ში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, იდეოლოგიუ-

რი დაწესებულებებისა და წემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებიან გამართულ წეხვედრაზე ჟურ. "სოვეტსკი სოიუზის" მთავარმა რედაქტორმა ნ.მ.გრიბაჩოვმა აღნიშნა: "განსაკუთრებით საჭიროა, რომ მთელი ჟურნალისტიკა იყოს უალრესად აღაღმართადი, ემყარებოდეს ზუსტ,წემოწმებულ ფაქტებს; ხომ ხდება ხოლმე, ერთხელ გაუკუღმართებენ წვრილმან ფაქტს, მეორედ ... მთლიანად კი ეს... უნდობლობას იწვევს".

გელათის მონასტრის მოთასეული ფრესკის მიწუთადებამ 40-მდე წელი წეიწია, უზუსტობის და წეუმოწმებლობის, უსუდგულობისა თუ უცოდინრობის გამო. 5 წლის წინ გავბედეთ და ხმა აღვიმაღლეთ მეცნიერული უკულმართობის წინააღმდეგ გულისტკივილით, ენთუზიაზმით, ქართული კულტურის სასიკეთოდ და ობიექტური განსჯის მაგიერ შურიანთა გაქლესილი ქირქვა და ქილვა მივიღე, სერიოზული ამრის მაგიერ გაქეშე თალხითა საფერი ჭუყე ღაწაიები გამოიმეტეს. ეგების ვცდები, რაიმე უზუსტობა უნებლიედ მომივიდა, მაგრამ მე ხომ მხოლოდ სასიკეთო, ერთგული, კულტურულ საჩინო საქმისათვის ვცდილობ, ვმუშაობ, რუსთველის ფრესკის დადგენას და წეწარჩუნებას ვესწრაფვი; ნიჰილისტი ოდიოზები კი პილპილინარევი ღიტონი სიტყვებით ცდილობენ უკეთურ მკრეხელობით მოსპონ ყოველი, გააბათილონ გამოწვილვით წეწივული ეპპირიული ფაქტურა. დიდი, ხელმძღვანელი და განაწილებული ავტორიტეტები კი სხვაგვარად მსჯელობენ, მაგალითად მ.ს. გორბაჩოვი, რომელიც მისამართი გამჭრიახობით გვაუწყებს: "პირადად მე მინდა ყოველთვის სუფით და გულით გამოვეხმაურო ადამიანს, რომელიც წარმატებით ესწრაფვის კარგს, რომლისთვისაც ახლობელია ხალხის ტკივილი, ჩვენი ცხოვრებაა ახლობელი. მას წეიძლება შეეშალოს რაიმე, წეიძლება შეცდეს კიდეც - მე მგონია, ასეთ კაცს უნდა გაუგო და დაეხმარო კიდეც" /"კომუნისტი", 12.V.88/.

ქვემოთ ზუსტად მოგვყავს რ.მეფისაშვილის საპასუხოდ "ღიტ. საქართველო"-სადმი გაგზავნილი ჩვენი წერილი, რომელიც რედაქციამ არ დაბეჭდა და ე.წ. ავტორიტეტთა მღიქვნელობით გაპირშავდა.

"ილია ჭავჭავაძე ქ-ნ რუსუდან მეფისაშვილს

დიახ! ქ-ნო რუსუდან, თქვენი და თქვენი დირექტორის ოდიოზური "მზრუნველობის" წყალობით ჩემი, დაახლოებით 16-გვერდიანი ნაშრომი, თბილისურ პრესაში რომ ვერ დავბეჭდე, სხვა, თქვენზე უფრო გულისხმიერ და წამდვილ მეცნიერთა ვიზირებით საკავშირო ჟურნალში /"Советский Музей" , 87, 6/ გამოვაქვეყნე, მაგრამ თქვენ, როგორც მაღალი რანგის პატენტიან არქიტექტურისმცოდნეს, სანამ მყივანა საათურიან წერილს დასწერდით ჩემზე, უნდა ჩაგეხედათ ბიბლიოთეკის კარტოტეკაში ან გაგეთების სტატიების მატიანეში, რომელიც გაუწყებდათ, რომ თქვენთვის დაუჯერებელ-მცდარ, მაგრამ დიდ ქართულ პატრიოტულ საკითხზე ჯერ კიდევ 1985 წლის 2 აგვისტოს გამეთ "ქუთაისში"-მოვათავსე წერილი საათურით: "ფრესკაზეა რუსთველი თუ დავით ნარინი"?*, რომელმაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია, სპეციალისტთა და დაინტერესებულ მკვლევართა მსჯელობა დაიმსახურა; ერთ სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე პაექრობაც კი გამართა 1932 წელს შალვა ამირანაშვილის მიერ მიკვლეულ და გადალებულ, მაგრამ უცოდინრობის გამო თქვენს მიერ მიჩქმალულ და დასამარებულ ბერის ფრესკაზე. სად იყავით აქამდე? 40 წლის უყურადღებობით მკაცრი დალი დაესვა შენდობის ბავშვებულ ბერს, დაღათუ სახურავიდან ნამუნამა წყალმა ჩამოტანილი თეთრი საღებავით ჭარმაგი კაცი მოხუცად აქცია, როგორც ეს თქვენ მოგჩვენებიათ. ჩვენი უპრეტენზიო კვლევა-ძიებისადმი თქვენმა და ბატ. ვ.ბერიძის მკრეხელობამ ფრესკა წარხოცვის საშიშროების ქვეშ დატოვა კიდევ 3 წლით. ძნელი საბქმეცია დღის შემდეგ რას უწამენ რესტავრატორები შოთა რუსთველად დაგულვებულ გამოსახულებას, მაგრამ ცხადია ერთი, თქვენ მეუღლე პროფესორი ვახტანგ ცინცაძე რომ არა, გელათში გამოსახული მეუფე-მოძღვარი, ვინც არ უნდა იყოს იგი,

---

* ამ პუბლიკაციაზე გაგ. "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას თუ არა, მაგ კონსულტანტს მაინც უნდა სცოდნოდა.

ასეთ ატიოტაჟს არ გამოიწვევდა და უსაფუძვლოდ დაიღუპებოდა. მატონმა ვ. ცინცაძემ საკუთარი ნეგატივებიც კი მათხოვა და დასძინა "წუხ მარიდა ესაა რუსთველიო". მაშინ, ძიების პირველ ეტაპზე, ჩვენთვისაც საწუო იყო შემონაზვნებული კაცის პორტრეტის ვინაობა, მაგრამ დღეს, ევ. დერღემენკოსა და ედ.გიგიღაშვილის საოცარი კვალიფიციებით გამზადებული და "ხელოვნების" მიერ 1982 წელს სანიმუშოდ გამოცემული ალბომის, 5 წლიანი თავდაუზოგავი შრომის, კვლევა-ძიების, ტექნიკური მეთოდების გამოყენებისა და ატარებული მეცნიერული ლიტერატურის დამუშავების შედეგ მტკიცედ, უყოყმანოდ და მთელი სერიოზული პასუხისმგებლობით საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ მოსკოვურ ჟურნალის ყდის მესამე გვერდზე დაბეჭდილ გელათურ ფრესკის რეპროდუქციაზე ნამდვილად ჩვენი სულმნათი მგოსანი და ჯერ დაუფასებელი დიდი სახელმწიფო მოღვაწე იოან-შოთა რუსთველია გამოსახული, რომელიც დაუყოვნებლივ კონსერვაციას საჭიროებს.

პატ. რუსუდან, თქვენი დოქტორალური, მხოლოდ ვარაუდებზე და მოჩვენებებზე აგებული კრინი რეპლიკა პასუხს თიქმის არ იმსახურებს, რამეთუ იგი ურთიერთ საწინააღმდეგო გამონათქვამებით მთლიანად ბათილდება, მყვირალა სათაურით ისტერიულ ყივილს უფრო გავს, ვიდრე მეცნიერის დინჯ გამოძახილს და ძაღას მატებენ ჩვენს მოსაზრებებს, მაგრამ თქვენი "მეცნიერული ძაღისხმევის" ჯირკვალი რომ განვაგდოთ, რათა ისტორიაში არ დასამარხიერდეს და თან გული საბუნად მივითვალოთ იგი, რამდენიმე მოკლე პრინციპულ კომენტარზე გავამახვილებთ თქვენს მოწყალე ყურადღებას.

სწერთ: ეკვდერში "ბერის სამოსელში შემოსილ მამაკაცის წელზევით გამოსახულებას ... ახლავს წარწერა: "მეფე დავით ძე რუსუდანისი"-ო. გთხოვთ გაამახვილოთ ყურადღება "ბერსა" და "მეფეზე", რომლებიც სხვადასხვა მცნებებია და ურთიერთს გამორიცხავენ. თუ ფრესკაზე ბერია, მაშინ იგი მეფე ვერ იქნება, ხოლო თუ წარწერაზე "მეფე" იკითხება, მაშინ ფრესკაზეც გვირგვინოსანი ხელმწიფე უნდა იყოს. თანაც ჩემზე უკეთ უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ საწყალი ბერის სამოსში დიდებული მე-

ფის წელსგევით გამომსახველს დავის წაკვეთა თუ არა დიდეგი არ ასცდებოდა; და კიდევ უფრო იმიტომ, რომ ბერის გვერდით გვირგვინოსან საკოს-მისიონარი, ღრმად-წვერ-ულვაშა და ხუჭუჭთმიანი დავით ნარინა მოხატული. ხოლო თუ იმასაც გაიხსენებთ, რომ თქვენი მტკიცებით იმ პატარა საკანში მეფე დავით VI ბესაძე პორტრეტიცაა* /ჩაიხედეთ გელათის აღბობის თქვენეული ტექსტში, გვ. 13/ ცხადია შეკრთებით, შეცბუნდებით, დაღაც დღევანდელ ეკლესიას სამოქალაქო ძალაუფლებაც რომ ჰქონოდა, ასეთი უდიერი სიცრუისათვის შეგრისხავდათ, ძელზე გაგსვამდათ, ხოლო "აღმორენის" გაჭეშმარიტების შემთხვევაში ერის სულიერი მწყემსი ერთ ეკუდერში მეფის სამი პორტრეტის გამომსახველ და გაკადნიერებულ მხატვარს ანათემას მიუვლენდა "არა შექმნა კერპი შენის" წამებიდ წვეული ქმედობისათვის. მადლობა უფალს, რომ ქრისტიანული საყოველთაო დოგმა დაურღვეველია და არცერთს შეჩვენება არ მოგელით.

აღნიშნულის გარდა, ქ-ნი რუსუდან, სერიოზული ანგარიში უნდა გაგეწიათ თქვენივე ალიარებისათვის: "დავით-ნარინის შემონაზვნებაზე ისტორიამ ცნობა არ შემოგვინახაო", რომელიც, სხვათა შორის, დიამეტრიულად ეწინააღმდეგება გამ. "ლიტერატურა და ხელოვნებაში" /23.XII. 51 და არა "ლიტერატურნაია გაზეთაში", როგორც თქვენ გგონიათ/ თქვენსავე გამონათქვამს: "დავითის ბერად შედგომა, როგორც ისტორიული წყაროების შეჯერებით იქცევა, მისი ცხოვრების უკანასკნელი წლის განმავლობაში შეიძლება მომხდარიყო". მაშინ დაგვისახელეთ ვინ იყო მეფე დასავლეთ საქართველოში დავით-ნარინის ბერობის ჟამს. ცოდვაა ასეთი მწვალებლობა; მე თუ არა ჩვენი მკითხველი მაინც შეიბრალეთ.

ამ ქსენიურ-ბარბარიულ ვერსიებს ანუ პოსტულატს ე.ი. დაუმტკიცებელ დებულებას თქვენ შემდეგ იყენებთ მეორე მცდარი მოსაზრების, - დავითის შემონაზვნების მერე ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაოდ მი-

---

* გელათის მონასტერში, სადაც დავით აღმაშენებლის ერთი ფრესკაა, თამარისა კი არცერთი, დავით ნარინს სამ პორტრეტს მოხატავენ ერთ პატარა ეკუდერში? სადაური ღოგიკაა!

ლებულ საბერო სახელის უგულებელყოფის, - დასასაბუთებლად და ეგებისობით დასძენდა: "როგორც ჩანს, ეს /ანუ სახელის გამოცვლა. ა.ც./ საქართველოში არ იყო ყოველთვის სავალდებულო"-ი. ჯერ ერთი, ასეც რომ იყოს, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მეორეც სასმისად იმოწმებდა ბეთანიის ეკლესიის კედელზე მანდატურთუხუცეს სუმბატ დიდის ბერად შემოსილ გამოსახულებას, იმას კი თვალთმაქცურად უმალავდა მკითხველს, რომ აკანყებისთვის გიორგი მესამის მიერ დასჯილი ურჩი მოხელე სუმბატიც კი ბერობაში "სვიმონ ქმნილად" იწოდებოდა.[24] ამასთანავე, დიდ ჩინოსანს, პატარა მოხელეს უდარებდა, იმას კი არ ფიქრობდა, რომ თუ სუმბატი გადირთხა და მისმა სახელმა მოაღწია ჩვენამდე, მეფის ბერობის სახელი უსიკვდილოდ აღბეჭდილა გელათურ მოძღვრის ფრესკაზე, ისტორიულ ლიტერატურაში, ანდა იქრომყედლობასა და სამარხის ძეგლებში მაინც.

აღნიშნული უტაქტო მანიპულაციის შემდეგ მხცოვანი მკვლევარი უგულებელყოფდა იგორ გიორგენძორფისეულ ფოტოებზე წარწერების ჩვენეულ ამოშიფრის ავთენტურობას და ადგილზე საკუთარ თვალით შემჩნეულსა და ულტრაიისფერ-ლუმინესცენციური გადაღებით გამომჟღავნებულ წარწერების იდენტურობის დამტკიცებას ლიტონი სიტყვებით ცდილობდა, გამოდის, რომ ადამიანს თანამედროვე ტექნიკური აპარატურის ქონვარდოვანი უნარი ჰქონია, მაგრამ არა! ჯერ ერთი, ფრიად პატივცემულ და რენდგენოგრაფიის ერთადერთ ჩინებულ სპეციალისტს საბჭოთა კავშირში იგორ ნიკოლოზის ძე გიორგენძორფს გადაღებული ფოტოებიდან ერთი პატარა სურათიღა შემორჩენია, რომელიც უჩვენებია კიდეც თქვენთვის პატივით, მაგრამ გაწა ერთი, უაპარატოდ, დაქვეითებული თვალის ჩინით გასინჯული ილუსტრაციის მიხედვით შეიძლება რაიმე სერიოზული დასკვნის გამოტანა? მეორეც, ჩვენს ხელთაა სხვადასხვა დროს, განსხვავებული რაკურსებით, წარჩენილი განათებით გადაღებული 100-ზე მეტი დოკუმენტური ბასალა

---

24 ქარი. ცხ. II, გვ. 218.

და მოსაზრებებს მაინც კიობვის ნიშნებით, ვარაუდებით ვფარგლავთ, კატეგორიულ მსჯელობას ვერიდებით ინტრიგანების შიშით, რაც ოქვენ შეგიმჩნევიათ კიდეც, რადგან წერთ: "ავტორი ე.წ. ენათმეცნიერული ვარჯიშის შედეგად რუსუდანის მაგიერ კიობუღობს რუსთაველს /???-ა.ც./ და ასკვნის: ამრიგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გელათის ფრესკაზე გამოსახულია შოთა რუსთაველი, 213-223 წწ. ეს უკანასკნელი ცნობა აგრეთვე უსაფუძვლოა" /გამ. "ლიტერატურული საქართველო", 1988, N 6, გვ. 4/. დიახ ბატონო! უსაფუძვლოა, იმიტომ, რომ მე ვკიობუღობ "რუსთველ"-ს 1213-1223 წლების პერიოდისას და არა ადამ და ევის ხნის "რუსთაველს". დამახინჯებული ციტირება უკუსურია იმიტომაც, რომ უფსკრული ძევს "რუსთველ"-სა და "რუსთაველს" შორის, რამეთუ პირველი მგოსან შოთას მოხელეობას, პროფესიას ნიშნავს, მისი საქმიანობის მაცნეა, მეორე კი ჰერეთის "რუსთავიდან" წარმომავლობაზე მეტყველებს, რაც სადღისოდ გამაჟიღებული ვერსიაა. მესამეც, ოქვენი ირონიული რეპლიკით ბე თუ "ენათმეცნიერული ვარჯიშები" შევძელი, ოქვენ ის მაინც უნდა გაგერჩიათ თუ რომელი ენის დამწერლობას ეკუთვნის ოქვენს მიერვე "მეფე დო ძე რუსუდნი"-დ მიჩნეული და მაშასადამე გაყალბებული წაკითხვა.

აღნუსხულ ოქვენს ლიტონ მტკიცებებს აქარწყლებს ბერის პორტრეტზე ოქვენეული გააზრებით წაკითხული თვით წარწერა "მეფე დო ძე რუსუდნი"-ც, რადგან ორთოდოქსული ქრისტიანული საეწმუნოების დოგმატური კანონით მეფე, უფრო კი ბერი, ფრესკაზე არამც და არამც არ მოიხსენიებოდა მამის, მიუხედავად დედის სახელით. ფრესკებზე მეფეები იწოდებიან მხოლოდ საკუთარი სახელით და ისეთი ეპითეტებით როგორიცაა "აღმაშენებელი", "დიდი", "მრისხანე", "მცირე", "ბნელი", "მოკლე", "თავდადებული", "ბიწყინვალე", "ლეგენი", "ლომგული", "ავი", "კისკასი", "ტანტალა", "რინდი", "კეკელა" და სხვა, ანდა თანამდებობის და პროფესიული ბეღწოდების ჩვენებით, რამეთუ ეკლესიის მესვეურნი ხელმძღვანელობდნენ სავალდებულო დევიზით: "საქმენმან შენმან გამოგაჩინოს".

გელათის მონასტრის ეკუდერში მოხატული მეფე ფუ ბერი მარწყვად რომ რუსუდანის ძე ყოფილიყო ეკლესიის პედანტი მესვეურები ძეობით მის მოხსენიებას მაინც არ დაუშვებდნენ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაარღვევდნენ "დვითურ" წეს-ჩვეულებას. ამასთანავე, არსად, ქრისტიანულ ეპოქაში არასდროს, არცერთი მეფე ან ბერი ძეობით მოხსენებული ფუ წოდებული არ შეგხვედრია, არ გვინახავს და არც გვსმენია, რომ ყოფილიყოს ტაძართა ფრესკებზე, პანოებზე, კომპოზიციებში, ხელნაწერთა მინიატურებზე; არსად წერია: დავით გიორგის ძე, დემეტრე დავითის ძე, გიორგი დემეტრეს ძე, თამარ გიორგის ასული ან რუსუდან დავითის ფუ თამარის ასული, გიორგი /ლაშა. ა.ც./ დავითის ძე და ა.შ.*

გელათის ფრესკაზე რომ ბერის მამის სახელი ან გვარი ეწეროს, მაშინ მხატვრობის სრულ ფაქტიფიკაციასთან გვექნებოდა საქმე და გამოსახული ბერი ვერც შოთა იქნებოდა და ვერც დავით. ბერის ფრესკაზე გამოსახულის ძეობით ან გვარით მოხსენიება გამორიცხავდა ყოველგვარ ვარაუდს და მასში ისტორიული პირის დაგულვებას. ფრესკაზე "შოთა"-ს მერე რომ ეწეროს მოძღვრის ფუ პოეტის ნამდვილი გვარი, ფანტასტიკური სენსაცია და უდიდესი მსოფლიო აღმოჩენა იქნებოდა. ბერის ფრესკაზე მგოსანი შოთა უფრო იმიტომ ივარაუდება, რომ იგი მოხსენებულია არა ნამდვილი ონომასტიკონით, არამედ მედროვედ "რ ე ს ო ვ ე ლ ი"-თ.

ქ-ნი რუსუდან! ფქვენს მიერ საეჭვოდ და საკამათოდ ქცეულ მონაკვეთზე რომ "რუსუდნის" იყოს, მაშინ მისი დამწერი იმდროინდელი ქართული მარწყვწერის უცოდინარი ყოფილა, ხოლო ფქვენ ძველი დამწერლობის კანონზომიერებაში გაუთვიფნობიერებული, რადგან სახელი "რუსუდანი" ხატებსა და ფრესკებზე იწერებოდა არა "ᲠᲣᲡᲣᲓᲜᲘ"-ო, არამედ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ანუ "რ უ ს უ დ ა ნ". სამაგალითოდ

---

* მათ კი არა დავით გურამიშვილს, იდია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ფაქა-ფუშკინსაც არ ვახსენებთ მამის სახელით; დავით ნარინი წითელი კვერცხია?!

იხ. მ.ახალაშვილის "X-XV სს. წარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე". თბ., 1987, გვ. 45, წარწერა № 33. სოფ.ფხოტერის მავხვრის სატმედაც იგი შესრულებულია არა ჯ/უნის/ მეთოდით, არამედ ყ=ჯ -ის გამოყენებით ასე[25]:



კარგად ითქმის, ბერის ფრესკის საკმაოდ მოზრდილი წარწერის სრულყოფილი პალეოგრაფიული გამოკვლევა, გაშიფრა და ამოკითხვა ხელნაწერსაკრავი საქმე, პანტის კრეფა არ არის და გაბედში თქვენული დეკლარირებით არ გადაჭრება, ვერ მოგვარდება. საამისოდ აუცილებელია შეუპარაღებელი თვალით მოუშავე რამდენიმე დაინტერესებული პალეოგრაფის, ენათმეცნიერის და ისტორიკოსის კონსილიუმი ჩვენი საკვირის დიაგნოსტიკისათვის და არა შეუთანაპირებული თქვენული ნიჰილიზმები. თუ ამ ლონისძიებას საჭიროდ მიიჩნევს ვინმე მზად ვარ მრგვალი მაგიდის გარშემო პირუთვნელი მეცნიერული და მიუკერძოებელი პაექრობისათვის, ცხადია თუ თქვენი რანგის კოლეგები იკადრებენ უპრეტენზიო პატარა ჩინთან გაბაასებას.

დაბოლოს, არქიტექტურისმცოდნეობის დოქტორი და მაშასადამე ჩვენი ნაშრომისათვის არაკომპეტენტური კრიტიკოსი, - რომელიც ობიექტური ვერ იქნებით სრულიად გასაგები მიზეზით, - ერთმანეთს უდარებთ მეფურად გამოსახულ ახალგაზრდა დავით-ნარინს, რომელიც თითქოს შავი თმით და წვერულვაშითაა დამშვენებული და ბერად აღკვეცილს, რომლის თმა და წვერულვაში თქვენ თეთრად გეჩვენებათ, სახე კი დანაოჭებულად. სინამდვილის ასეთი გაყალბება მეტის-მეტია, საზოგადოების აბუჩად აგდება და შეცნობილი ადამიანების გამასხრებაა, რამეთუ ნამდვილად წარედ სდებით, უთუოდ განგებ, ქვეშეცნეულად, რაკა ერისა და ბერი კაცის მსგავსებას, იდენტურობას რაიმე საფუძველი გამოუჩრიკოთ. სინამდვილეში მეფურ სამოსიანი დავით-ნარინი ტოლი, წითელ თმა-წვერულვაშა და ცისფერთვალაა, — ბერი კი შავგვრემანი, შავ თმა-წვერულვაშა,

---

25 Г.Чубинашвили.Грузинское чеканное искусство.Иллюст.Тбилиси, 1959,фото 419 и 420

გიშერ ფაღა, რომლის სახეს ჩამოღვენთილი თეთრი საღებავის ბოლები ჩასდევს. ამიტომ იგი თეთრწვერა მოხუცად მოგვევლინა, მაგრამ ფაქტიურად "უფრო ცოცხალ არის გადმოცემული". ჩამოღვენთილ თეთრ ბოლებს ფუ მოვხსნით, როგორც ეს მხატვარმა-მინიატურისტმა ლეილა კოპალიანმა უკვე გააკეთა ჩვენი ხსოვნით ფოტოებზე, ფრესკაზე ჩრება ოდნავ წვერ შევერცხლილი შავგვრემანი ბერი. ასეთი ამდა-უმდა შეუსაბამობაში აღმაო იმის ბრალია, რომ ღრმად მოხუც ქალს ახალგაზრდობის მერე აღარ გინახავთ 1951 წლის რესტავრაციის მერე ბერის ფრესკა, რომელზედაც ფუ მოხუცია გამოსახული, უფრო ცოცხალ რგოლია გადმოცემული? და კიდევ ერთი ასეთი უგუნებობა: ახალგაზრდა მეფის და მოხუცი ბერის სახე ფაქტიურად ფუ მარდა 1290-1293 წლებისაა, მაშინ როცა ჭელიშის ფრესკის მესაფლავე ისევ და ისევ იტყვიღებით, რადგან 2-3 წელში კი არა, 30 წლიან პერიოდში ცალ-ცალკე მოხატებოდნენ ისინი.

როგორც და რაც არ უნდა იყოს მეფესა და ბერს შორის პორტრეტული მსგავსების დანახვა სიბეჯე, დაბრმავება, უტრირებაა. ისინი ერთმანეთისგან ისე განსხვავდებიან როგორც ცა და დედამიწა. იხილეთ 1982 წელს გამოცემული გელათის ფოტო-ალბომის სურათი N 62, რომელზედაც ცუდი დავით-ნარინა წარმოდგენილი და სურათი N 63, რომლიდანაც შენობის მთხრუნელი დიდ ნუშისთვალა და შავ წაიბებგადარკვეული შავგვრემანი მოძღვარი გვიმზერს ბრძნული იერსახით.

ძალზედ ალმაშფოთებელი ისაა, რომ ფქვენ, საკავშირო პრესაში ჩემს მიერ განქიქებული მჩქმალველი, ჟურნალის რედაქციას ჰკადრებთ და საყვედურობთ შეუმოწმებელი, სიცრუიად უნობი, მცდარი მასალის გამოქვეყნებას, რაც უგბილმეტყველის დავხედობის ტოლფარდვანი გამოხდომაა, რადგან ჯერ ერთი თიქმის იგივე მასალა 1985 წლის 2 აგვისტოს გამოვაქვეყნე "ქუთაისში" და რა ჩემი ბრალია თუ ფქვენ გაგეთს არ კითხულობთ? მეორეც, რომელი თითიდან გამოწოვეთ ასეთი დიქტატორული უგერგილობა და პონორი, როდესაც ჩემი პუბლიკაცია ჟურნალში ვერსიის რუბრიკითაა?

ვინ მოგახსენაო ან რატომ გგონიაო, რომ რედაქციამ უცნობი მასალა შეუმოწმებლად მიილო და პრეტენზიოდ გამოაქვეყნა?! ანდა რა უფლებით უწოდებო ურცხვად "ცდარს" წერის მანძილზე ჟღუნებით ნაამაგარ ნაშრომს, რომელსაც თქვენი ღვარძლიანი და უსუსური წერილი ვერაფერს აკლებს, პირიქით რეკლამას უკეთებს და განამტკიცებს. თქვენ თვითონ ვისი ვიზირება წარადგინეთ რედაქციაში შარიანი წერილის გამომზეურებისთვის?!! ვინ მოგცათ უფლება მყივანა შეურაცხმყოფელი ღიმუნგებით რომ ცდილობთ მკითხველთა გაბიაბრუებას, დოქტორის დიპლომს ეფარებით?!

თქვენეულ კვლევა-ძიების მანკიერ სტილს და დოქტორანტურ მუქარას მეცნიერებაში ყავლი უკვე გაუვიდა. ეხლა სხვა დროა, ყველა უფლებამოსილია თავისი ხვაშიადი გააბუღავნოს, ჭეშმარიტება წარმოაჩინოს, სიმართლე თქვას, ღრმიკური აზრი ამტკიცოს, დოგმატიკური დებულებები განიხილოს, გააკრიტიკოს და მოროტსა სძლიოს ცოდნითა და გონიერებით. თქვენ კი ძველებურად ჭიკჭიკებთ და გსურთ საქვეყნოდ ცნობილი, მრავალგზის ნაღეჭი მასალა ვცოხნოთ, თქვენი ძველი ნაყალბევი გავიზიაროთ, დრომოჭმული მცდარი მოსაზრებები ვიზეიროთ თუთიყუშივით და თქვენს აზრუნდს ვეღლუნოთ ტრუბადურივით. საბედნიეროდ ეს აღარაა სადღეისო მეცნიერება; გუნდრუკის კმევა დაგმობილია! წუთ არ გესმით ახალდროების კიჟინი და მოთხოვნილება? სირცხვილია, სირცხვილი!!!

ჩვენს ლია წერილში თქვენი უსუსური არგუმენტების გასაბათილებლად მხოლოდ თქვენეული შეცდომები და ურთიერთ საწინააღმდეგო მოქცევები ღრმიკურად გამოვიყენეთ ჩვენი ნაშრომის მოუბარჯვებლად. ყოველივე ამასთან ერთად წიგნის წინა ნაწილში ჩამოყალიბებულ ჩვენს მოსაზრებებს, ისტორიულ ასპექტებს, დებულებებს და დასკვნებსაც თუ გავითვალისწინებთ შეგვიძლია თამამად ბრალი დაგდოთ ანტიეროვნულ კულტურულ დივერსიაში, რომლითაც გენიალური მგოსნის ბრწყინვალე სახება 40-მდე წლით ჩრდილს მიაფარეთ, წარხოცვა გაუმზადეთ, შოთა რუსთველის თაყვანისმცემელ ქართველ ხალხს უსაყვარლესი ამაგდარი შვილის ხილვის სიამოვნება

მოუსწრაფეთ და გელათის ტაძარ-მუზეუმს მატერიალური მხარეც მიაყენეთ.

რა გვეშველება? კოლოები ღობებად იქცნენ და გარდაგებით გვეშურებიან, მაგრამ მზადა ვარო სიკვდილამდე სატაძრისი მივუგოთ ყველას, ვინც კი იოანე-შოთა რუსთველის ბრძნულ სახიან ფრესკულ პორტრეტში დაეჭვდებიან".

გამ. "ღიმ.საქართველოს" რედაქციას ცოდნა და გამბედაობა არ ეყო თუ არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორ რ.მეფისაშვილის პრესტიჟს გაუფრთხილდა არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი რამდენიმე წერილობითი და სიტყვიერი დაჟინებითი თხოვნის მიუხედავად, საპასუხო წერილი არ დაგვიბეჭდა რედაქტორმა, რომელსაც, დაბოლოს, ბარათებით ერთად მივაწვდინეთ 1988 წლის 12 მაისის გამ. "კომუნისტის" ამონაწერი, რომელზედაც ალბეჭდილია სსრკ წერაღმა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის ვ.ვ.კარპოვის მიერ სკკპ ცკ-ში 7 მაისის შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა: "საჯაროობით რაც შეიძლება პრინციპულად უნდა ვისარგებლოთ. ჯერჯერობით კი... არცთუ იშვიათია ცალი გოლის თამაში. ბეჭდავს გაზეთი თუ ჟურნალი მწვავე კრიტიკულ გამოსვლას ვინმეს მისამართით, მაგრამ გაკრიტიკებულს სიტყვას არ აძლევს. ფიქრობთ ეს სწორი არ არის, ეს გადახრა უნდა გამოსწორდეს. პრესის ფურცლებზე დისკუსიის მონაწილენი უნდა სარგებლობდნენ დასაბუთებული პასუხის თანაბარი უფლებით"... და მაინც დარჩა ჩვენი ღალატისი უდაბნოსა შინა. დაბეჭდვას ვინ დაიჯერებს, 1988 წლის თებერვლის შემდეგ გაგზავნილ სამ წერილზე ერთი პატარა პასუხიც არ გამომიგზავნეს. არ ესეც "ღიმ.საქართველოს" გარდაქმნა, საჯაროობა და დემოკრატია. სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე გენერალურმა მდივანმა მ.ს.გორბაჩოვმა განაცხადა: "უაღრესად ანტიდემოკრატიულია წაართვა გაკრიტიკებულ ადამიანებს შესაძლებლობა არსებითად უპასუხონ კრიტიკას, მაშ რაღა საჯაროობაა ეს!"[26].

---

26 გამ. "კომუნისტი", 29.VI.88.

ამის შემდეგაც გონს ვერ მოეგო რედაქცია და არ გამოაქვეყნა "არ დაუჯერიო მცდარია"-ს გამო დაწერილი ჩვენი აღიარებითი გამოხმაურება, რომელიც უფრო ბევრს მოგებდა ბერის ფრესკა და ჰუმანიტარული მეცნიერებაც.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუციებში დაგმობილია პიროვნების დამცირება შეურაცხმყოფელი იარლიყებით; კონფერენციამ ყველა კომუნისტს მოუწოდა: "ბელშემწყობი პირობები შეუქმნან ნებისმიერი საკითხის ღიად და გულახდილ განხილვას, საბჭოთა ადამიანების ინიციატივისა და შემოქმედებითი აზრის გამოვლენას"; კომუნისტთა დიდმა ფორუმმა დაადგინა, რომ "მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ობიექტურად, დაუხანებლად უნდა ასახონ ყველა მოკამათე მხარის თვალსაზრისი". ამასთანავე, პარტკონფერენციამ შეუწყნარებლად მიიჩნია "მოქალაქის სახელისა და ღირსების შემლახავი არაობიექტური ინფორმაციის გამოქვეყნება... ამ სფეროში უცილობელი მოთხოვნები უნდა იყოს ინფორმაციის უფრო უტყუარობა" და რაც მთავარია "ყოველი გაკრიტიკებული მოქალაქის უფლება გამოაქვეყნოს დასაბუთებული პასუხი პრესის იმავე ორგანოში".[27]

სულ ეხლახანს, 1988 წლის 12 სექტემბერს, კრასნოიარსკის მშრომელებთან შეხვედრისას მ.ს.გორბაჩოვმა განაცხადა: "როცა პრესაში ჩნდება პუბლიკაციები, რომლებიც ამახინჯებენ ფაქტებს, ფუსფუსავატური მსჯელობანი სერიოზულ საკითხებზე და, რაც განსაკუთრებით შეუწყნარებელია, ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელი მსჯელობანი, - ეს არ ვარგა"[28]. ვისთვისაა ყოველივე ეგეთი ნათქვამი?, მხოლოდ ხალხის საკეთილ წუგეშად თუ პრესის მუშაკთა საყურადღებოდ?! წინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგაც რედაქციამ თუ არ დაბეჭდა ჩვენი პასუხი, უნებურად ვისარგებლებთ XIX პარტკონფერენციის გადაწყვეტილებით და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1989 წლის მარტის პლენუმის განმარტებით სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების VII მუხლის გამო-

---

27 გაზ.- "კომუნისტი", 5.VII.88

28 იქვე, 14 .IX.88.

ყენებაზე და სასამართლოს მივმართავთ ინფორმაციის უფლების რეალიზაციის წინააღმდეგობის, დაფარვის და კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

მრეულსა და ახლო წარსულში მეცნიერული აზრის ტერორმა, ჩახშობამ თუ იგნორირებამ რაც სიკეთე მოგვიტანა, საღღეისოდ კარგად გაცნობიერდა განსაკუთრებით ისტორიულ მეცნიერებაში. ძველი მეცნიერული ელიტას მონოპოლისტური კასტა რამდენიც არ უნდა ეცადოს, ამჟამად ვეღარ ჩაახშობს ახალ სიტყვას, საღ აზრს, ორიგინალურ მიმოკვლევას და აღმოჩენას ძალიან გულითად რომ უნდოდეს, რამეთუ ჭეშმარიტად მეცნიერული ღირებულებისათვის მოგიერთი ფშუტე ავტორიტეტი გარდაქმნამ და საჯაროობამ უკვე გააცამტვერა. წინამდებარე უპრეტენზიო მიმოხილვა ამის საუცხოო დასტური და მაგალითია.

ერთიც გვინდა შევახსენოთ "ლიტერატურულ საქართველოს" მესვეურებს. სკკპ ცკ-ის თათბირზე, რომელიც 1989 წლის 18 ივლისს გაიმართა, მ.ს.გორბაჩოვმა ჟურნალისტებს მკაფიოდ განუცხადა:

"პრესის მოგიერთი ორგანო უარს ამბობს იმ ავტორთა პუბლიკაციაზე, რომელთა აზრიც არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. მინდა შევახსენო პრესის მუშაკებს, რომ პლურალიზმი გულისხმობს აზრთა გამიარებას, შეხედულებათა შეპირისპირებას, დისკუსიებს, რომ აქ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა პირადი სიმპათიებითა და ერთგულებით, არამედ პრინციპული მოსაზრებებით... ჩვენში არ არის დაბურული ბოლები საზოგადოებრივი კონტროლისა და კრიტიკისათვის. და ეს საკმაოდ ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს" /"კომუნისტი", 20.VII.89/.

ჩვენი ესოდენ დაჟინებით პრინციპული მოთხოვნა გამართლებული და განმტკიცებულია კულტურულ ცხოვრებასა და მეცნიერებაში მიმდინარე უკანასკნელი წლების მოვლენებით. და მიუხედავად იმისა, რომ პრესისგან მოითხოვენ სიმართლეს, ზუსტ შემოწმებულ ინფორმაციას, მეცნიერულ უტყუარ ფაქტებს, მიუხედავად იმისა, რომ დაიგმო დეზინფორმაცია, რომელიც პოპულიარულ მეცნიერულ სტატიებს ახასიათებდათ უკანასკნელი რამდენიმე

ათეული წლის მანძილზე, პრესაში აქა-იქ მაინც გვხვდება მოკლედ ამკარად ნაყარებული სტატიები /"საქ.ქალი", 1984, N 8, გვ. 20-21/, ავტორიტეტთა მოსაზრებების უმუსტო და ფაქტიფიცირებული დამოწმებანი /მაგ. სვანეთიდან გატაცებული წმ.თევდორეს ხატის ექ.თაყაიშვილისეული შეფასების დამახასიათებელია/, XII ს-ნის I ნახევრის მოღვაწე მსახურთუხუცეს ვარდან დადიანის შვილად XIII ს-ნის შუა პერიოდის ცნობილი გზირის ცოტნე დადიანის გამოცხადება /"დროშა", 1986, N 7, გვ. 15/ და სხვ.

წინამდებარე საპაექრო თემის თვალსაზრისით საინტერესოა და გამაფრთხილებელია ის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც მოცემულია ალბომ "გელათში" 13-ე გვერდზე დაბეჭდილი ი.მეფისაშვილისეულ მტკიცებაში /გელათის მონასტერში მეფე დავით ნარინის 3 პორტრეტის შესახებ/ და გაზ. "ზნიელისში" /2.VI.89/ გამოქვეყნებულ ვ.ბერიძის სტატიაში: "საგანგებოდ არის მოსახსენებელი: სამხრეთ ეგვტერში - მეფე დავით ნარინის ორი პორტრეტი /XIII საუკუნე/".

როგორ დავაკვალიფიციროთ ასეთი პერტურბაცია, რომელსაც დიდ ტიტულოვანი "სპეციალისტები" გვთავაზობენ? მოღონ და მოღონ ვინაა მარადი, ი.მეფისაშვილი თუ ვ.ბერიძე? რამდენი პორტრეტია მეფე დავით ნარინისა გელათის მონასტერში? სამი თუ ორი? გვიპასუხონ ინფორმაციის ავტორებმა, რომელთაც სპეციალური კითხვით მივმართეთ "ზნიელისის" რედაქციის საშუალებით, მაგრამ ამჟამად, პასუხი არ გვალირსეს დღემდე*. გვაქვს თუ არა უფლება ამის შემდეგ გამოვსთქვათ ჩვენი მოსაზრებანი, ვამხილოთ შეცდომა და გავაკრიტიკოთ ყალბის ქმნელები? მით უმეტეს, რომ "დღეს - სხვა დროა... დღეს პრესასა თუ საჯარო გამოსვლებში ყველას და ყველაფერს აკრიტიკებენ... აკრიტიკებენ კი არა - ღაბის თავზე ამხობენ... განსაკუთრებით ეშხით უტევენ ავტორიტეტებს /მართლა გამოგონილი კი არა, ჭეშმარიტ ავტორიტეტებსაც... მაგ - კიდევ უფრო მეტი დაგემოვნებით/. აკრიტიკებთ გრძნობენ... აკრიტიკებთ პარტიას... აკრიტიკებთ არმიას... ეს ყველაფერი, თურმე,

* სამწუხაროდ, ჩვენი კონკრეტული მოკლე შეკითხვა გაზეთმა რატომღაც არ დაბეჭდა, ავტორებთან ტელეფონით გასაუბრებას და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მის გადაგზავნას დაჯერდა. ა.ც.

"შენაძღება" და საჭიროც ყოფილა..."

ამერემ თამამ კვაჭანტირაძეს ასეთი გამბედაობისათვის /"ლიტ. საქ." 30.VI.89/. ჩვენ გაცილებით მოკრძალებულ, მინიშნებულ და საბუთიან კრიტიკულ პასუხსაც არ გვიბეჭდავენ, სადაა სამართალი? ვაი ჩვენს პატრონს!

ე პ ი ლ ო გ ი

გარდაქმნასა და საჯაროობას ჯანსაღი კრიტიკა და თვითკრიტიკაც შეეფერება. ამ თვალსაზრისით პაექრობისათვის გამოქანილ წინამდებარე პატარა ნაშრომს თვალსაჩინოების შეუსაბამობა აშკარად დანდვევს. ესაა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეჭურჭლეობუღეს შოთასა და გელათის ტაძრის ეკუდერის ბერ-მოძღვარ შოთას ჩაცმულობა. თვითსთავად ცხადია, ყველას დაებადება კითხვა: ფრესკებზე თუ მართლა შოთა რუსთველია გამოსახული, რატომ არიან სხვადასხვანაირად გამოწყობილები? ამ ბუნებრივ და სამართლიან კითხვას რომ ვუპასუხოთ კარგად უნდა ვიცოდეთ "ვეფხისტყაოსნის" ავტორის ვინაობა, საქაურობა, ვინცობელთ მის წინაპრებს, ჩამომავლობას და მოამომავლობას, მის ცხოვრებას, მრობით საქმიანობას, მოღვაწეობას, რაც ჯერჯერობით თითქმის სრულიად უცნობი და დაფარულია. ეს ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საკითხი შესწავლილი და გამოკვლეული გვაქვს 500 გვერდიან ხელნაწერ ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნებას ელის. მანამდე კი წინასწარი ინფორმაციის სახით, უმტკიცებლად, მოკლედ მოგახსენებთ და დასმული კითხვაც ავტომატურად განმარტებული იქნება.

ჩვენი მტკიცე რწმენით, საბუთიანობითა და ისტორიული მონაცემებით შოთა რუსთველი იყო იოანე ვარდანის ძე დადიანი, კურატპალატობით მარუშიანთა ჩამომავალი, დაბ. მესხეთის სოფ.ალში 1160 (± 1) წელს, მეფე გიორგი მესამის მოყმე და ალამდარი ჭაბუკობისას; მერე ამირე-

---

* სხვათაშორის, წინამდებარე ნაშრომი გამსაბჭოების თხოვნით 1988 წ. უნდა დაებეჭდა "საბჭოთა საქართველოს", მაგრამ გამომცემლობის განყოფილების ერთი უმეცარი რედაქტორის უგუნური დასკვნის გამო რედაქციამ უარი გვქნია, რის გამოც ჩვენ გამომცემლობის დირექტორს გადავეცით ვრცელი დასაბუთებული ახსნა-განმარტება; სამწუხაროდ, არ ვიცით ჩვენს წერილზე რა რეაგირება მოახდინეს.

კობი ანუ მეკობრეობუხუცესი 1178 წლიდან. რამდენიმე წლის შემდეგ იოან ვარდანის ძეს რაღაც მძიმე ფაფერაკი შეემთხვა, მერად აღკვეცეს და გაამწესეს დავით გარეჯის მონასტერში, სადაც ცოდვას ინანიებდა შიის სახელით და მჭედლობდა კიდეც. 1184-5 წელს "კარვისტთა" აბჯრის და დადიანთა აღმზევებისას* იოანე ჩიაბერის ანუ ჭუია//ჩუიაბერის სახელით თამარ მეფის მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარად იქმნა, ხოლო 1195 წელს ექსორიაქმნილი, საბღვარგარეთულ ქართულ კულტურულ საქმეებში მოღვაწეობდა,** როგორც მხატვარი, მწიგნობარ-მთხზველი, მთარგმნელ-გადამწერი, ოქრომჭედელი. 1205 წელს საქართველოს ევლინება იოანე იერუსალიმელის სახელით; 1206 წლიდან კათალიკოს-პატრიარქია "ანგელოზსხორი", 1207-დან კი მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელიც, ხოლო 1210 წლიდან თამარის კალთას მეფარებული უმაღლესი ჩინის დიდი სახელმწიფო მოღვაწე. 1213 წლიდან ანუ თამარის გარდაცვალების შემდეგ იოანე ბერი ხდება და პატრონთა საფლავის მწირველია გელათში, თან აკადემიის მოძღვართ მოძღვრობს 1223 წლამდე. ამ პერიოდს განეკუთვნება გელათის ფრესკა. მერე რუსუდანის მეაბჯრეთუხუცესი და საჭურისი*** იოან ვარდანის ძე, თანაც გაღდასტანი მეფისწულისა, ხოლო 1244 წლიდან მეფე დავით ნარინის მეჭურჭლეთუხუცესი, თავდადებულად წოდებული აღსრულებამდე ანუ 1250 წლის 30 იანვრამდე. იგი დაკრძალული იყო მისივე სახელის მატარებელ იოანე ნათლისმცემლის ეკუდერში, რომელსაც ეწოდებოდა აგრეთვე თამარის, მერე დავით ნარინის, ხოლო ეგვარხატის პერიოდში ანდრია პირველწოდებულის სახელი . ექ.თაყაიშვილმა 1920 წელს სწორედ ეს, სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკუდერი, მეფეთა ფრესკებით დამშვე-

---

* ჩუნჩარები ვარდან დადიანი მსახურთუხუცესად იქმნა; აღმზევდნენ მისი ვაჟიშვილებიც.

** "ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახი ოსს ეყოს, ახიოს".

*** მისი მეორე მნიშვნელობით; სულხან-საბა ორბელიანი: "საჭურისად სახელ-იდების მეფის შინამოსამსახურეც, რომელსაც ჰქონდა ადგილი საჭურისთა /ანუ იარალის სჭყობთან. ა.ც./ თანა მნეობითა დადგინებათ". თანამედროვე გაგებით შეიარაღების მინისტრი.

ნებული სამწირველო გათხარა და თამარის და იოანეს ძვლების მაგიერ 1732 წელს აღრუღებულ იმერეთის დედოფალ მარიამ ბეჟანის ასულ დადიანის და მის მანამეცხედრე მეფე აღექსანდრე V გიორგის ძის /1721-1752/ ნეშტი აღმოაჩინა. სხვათა შორის, ამ პერიოდს ემთხვევა ქართლის მაკმადიან-სპარსოფილ მეფე იესე-აღიყულიხანის ვაჟის ანტონ ჯიმშერაგ ყოფილის ქუთაისის მხარეში მოღვაწეობა. იგი 1739 წელს გელათის მონასტერში ბერად აღკვეცა, მაღე წინამძღვრად იქმნა, 1740 წლიდან კი ქუთათელი მიტროპოლიტი გახდა. მას დიდი სასულიერო უფლებამოსილებანი ხელეწიფებოდა. 1743 წელს, ყველას გასაოცრად, ანტონმა უარი თქვა იმერთა კათალიკოსობაზე, მოულოდნელად მიატოვა ქუთაისი და, საკვირველია, დაუთ გარეკნის სამონასტრო ცხოვრება ირჩია.[29] დიდად საეჭვო ცდუნებაა. ჯერხნობით დიღებაა: ვის ადევს ცოდვა გელათის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკუდერის საფლავთა ცვლასა და "ყოველად წმიდა დედაღვთისა მოწყალისა"-ს ხატის თავდაპირველი წარწერის წაყვნაში? ხატისა, რომელზედაც კალთაში მჯდომ ყრმას /თითქოს იესოს/ შარავანდზე აწერია "იოანე"!

მაშასადამე, დიდ მოამრეველ და მგოსანი შოთა რუსთველი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი იოანე /ყოფილი შიო/ ვარდანის ძე /დედა აგუტი/ დადიანი იყო, 1213-1223 წლებში გელათში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა როგორც მნათე-ბერი, მოძღვარ-მოძღვარი და მეუფე იოანე განმანათლებელი, შემდეგ კი კვლავ სახელწიფო მოღვაწედ იქმნა და ერის კაცად შეიმოსა. ეს მიზეზი იერუსალიმური და გელათური ფრესკების საფოსლის განსხვავებისა.* ძალზედ საინტერესო და უფუოდ საყურადღებოა ისიც, რომ იოანე ე.ი. შოთა რუსთველი გელათის მონასტრის ცენტრალური ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკუდერის მაშენებელ-დამამშვენებლადაც

---

29 ს.ყავლიანი. ანტონ პირველი. თბ., 1987, გვ. 15-16.

* ამასთანავე საკარაუდოა ისიც, რომ უმაღლესი ჩინის მღვდელმთავარი მეფურ სამოსის ანალოგიურ ტანსაცმელსაც ატარებდნენ.

წარმოვიდგება და მეფეთა მებრძე-ბარიტო-პროტოსპათარადაც; უწოდებდნენ მას აგრეთვე მამადქმნილს, სებასტოსს, წიკეს, პაპიუასს, ბაზილეოსს, პატრიკს, დიპლომატს, ყოველთაღმწერელს და კანონმდებელსაც.

ვარდან დადიანის დანარჩენი შვილები, ანუ იოან-შოთა დადიანრუსთველის ძმები იყვნენ: მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერი, ჩუნჩარები გრიგოლი, სუანთა ერისთავთ-ერისთავი ბარამი და გურიის ერისთავთ-ერისთავი ვარდანი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ძნელად საჯერი ფაქტებია, რის გამოც მას, კაპიტალური ნაშრომის გამოქვეყნებამდე, წინასწარი ინფორმაციის სახით მოგახსენებთ პრიორიტეტისთვისაც.

ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მიერ დაგუდევებულ შოთა რუსთველის ფრესკას კონსერვაცია ჭირდება დაუყოვნებლივ, რათა დაღუპვას გადავარჩინოთ და სამერმისოდ შევინარჩუნოთ.* მის ავთენტიკურობაზე კამათს მოვესწრებით და კიდევ რომ გაცრუვდეს ჩვენი დასკვნები არაფერი დამავდება, ისედაც დაბიანებული ფრესკა კი წარიხოცება.

---

* ბინომდებარე ნაშრომის მეჭვდისას გავეცანით ან განსვენებულ პროფესორ ივ.ლოლაშვილის საინტერესო ნარკვევს: "თამარ მეფის აკდამა კელათში/ობ., 1989/, რომელშიც გაცით ნარინის და ბერის კელათური ფრესკაზე ოხრობა ნარმოდგენილია თურმეობითი ფორმით, სამწუხაროდ მდიანად ეყრდნობა მხოლოდ რ.შეფისაშვილის უსაფუძვლო ვარაუდებს და აღწერობას /გვ.60-64/, ამიტომ, აქრთვე ტექნიკური მიზეზების გამო, მათი განხილვა მომავლისათვის გადავდეთ.ა.ც.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ფრესკაზეა რუსთველი თუ დავით ნარინი?	გვ. 1
2. "რუსთველი" თუ "რუსთაველი"?	გვ. 20
3. კულისებსიქით კურიოზები.	გვ. 35
4. ეპილოგი	გვ. 61